ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 4 ოქტომბერი, 2018

№235 (7780)

ფასი: 60 თეთრი

## ნინო ლომჯარია: „მაია ოთინაშვილს რუსულ სამხედრო ბაზაზე სცემეს“

გვ.5



# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილმა ამ სისტემას ნაჯახით უნდა გადაუაროს“



## ლევან ყიფიანი: „ფარული ჩანაწერების გაკეთება ზაზა ოქუაშვილმა დამავალა... ფარცხალაძესთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს... სარდაფში არაფერი არ მომხდარა“

გვ.4



## ზაზა ოქუაშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადებები პირდაპირი მითითებაა ჩემ დასაპატიმრებლად“



ომეგას დამფუძნებელი საქართველოში არ ჩამოვა

### ზაზა ოქუაშვილი: „ლევან ყიფიანი სარდაფიდან გამოსულს ჰგავდა ახლაც“

„ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით გავრცელებულ ჩანაწერებზე ლევან ყიფიანის მიერ გაჟღერებულ ვერსიას, „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელი ზაზა ოქუაშვილი გამოეხმაურა.

მისი თქმით, ხელისუფლება ლევან ყიფიანის დაშინებას აგრძელებს და ლევან ყიფიანის მიერ გაკეთებული დღევანდელი განცხადებაც მთავრობის მიერ დადგმული სპექტაკლი ნაწილი იყო:

– ყველა ელოდა რაღაცას, რაც იქნებოდა დადგმული მთავრობის მიერ და ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვნახეთ, ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი. სარდაფიდან გამოსულს ჰგავდა ახლაც, ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, შეშინებული, – განაცხადა ზაზა ოქუაშვილმა.

გუშინ თბილისში საქალაქო სასამართლოში დაკითხვიდან გამოსულმა ყოფილმა სპორტის მინისტრმა, ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ სახელმწიფოსგან ზეწოლაზე ჩანაწერები „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელმა, ზაზა ოქუაშვილმა მასთან შეთანხმებით ჩაწერა უცხოელების დასარწმუნებლად.



## ლადო სადღობელაშვილი: „ოქუაშვილის სახით ნაციონალებმა სერიოზული ძალა შეიძინეს“

გვ.2



## ეკა გიგაური: „თუ ხელისუფლების მიზანია სამოქალაქო სექტორის გაჩუმება, ეს არ მოხდება“

გვ.4



## დავით ქაცარავა: „მაია ოთინაშვილს მის ბაღში 2 შავფორმიანი ჩაუსაფრდა და იქიდან გაიტაცა“

გვ.5

## სამართალი

გვ.7



### სვეტის დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე და დირექტორი თორნიკე ჯანელიძე დააკავეს

გამოძიება მათ 3 მილიონ ლარზე მეტის მითვისებას ედავება



### პაატა ბურჭულაძის ცოლი პროკურატურაში არ მიდის და სასამართლოში გამოკითხვას ითხოვს



### ხაშურის სასამართლოდან პატიმარმა გაქცევა სცადა

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**5** რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს საქართველო-რუსეთის საზღვარზე გადასვლის პროცედურას არ უმარტივებს

**3** ფადი ასლი: „დღეს ინვესტორები ქართულ სასამართლოს არ ენდობიან“

**6** თემურ ბასილია: „ეროვნული ბანკის ვალდებულებაა დაადგინოს, ზაზა ოქუაშვილის საქმეში ადგილი ჰქონდა თუ არა ფულის გათეთრებას“

**3** რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები რომ მთავარი ოპონენტები არიან, ეს დანარჩენი ოპოზიციის ბრალია“

# „ოქუაშვილის სახით ნაციონალებმა სერიოზული ძალა შეიძინეს“



## „პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატები აუზბუნტდებიან“





შორენა მარსაგიშვილი

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები თუ რამით გადაიფარებოდა, არავის ეგონა. დეპუტატ ნატო ჩხეიძის ერთმა მოგონებამ კი ყველაფერი გადაფარა. მან პატრიოტთა ალიანსში გამართული ერთი თათბირი გაიხსენა, სადაც საუბარი იყო იმაზე თუ დიდმარხვის დროს რა დღეებშია სექსი დასაშვები.

დეპუტატის მოგონებიდან ირკვევა, რომ პარტიის ლიდერებმა „კურთხევა“ სამშაბათის სექსზე გასცეს მხოლოდ.

პატრიოტთა ალიანსის წევრებს ამ თათბირის გახსენება არ სურთ და არც იმაზე აკეთებენ კომენტარებს, მართლა ადგენდნენ თუ არა სექსის გრაფიკს.

ამბავი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობა კინაღამ სიცილით მოკლა, სასაცილოდ არ მიაჩნია სამოქალაქო აქტივისტ ლადო სადღობელაშვილს. ის რაღაც დროის მანძილზე პატრიოტთა ალიანსის წევრი იყო და მისთვის ამ პარტიის სამზარეულო ცნობილია.

მართლა ადგენდნენ თუ არა სექსის გრაფიკს, რა ლოცვები იმართებოდა პარტიაში, სთხოვდა თუ არა ივანიშვილი ბიზნესმენებს ამ პარტიის დაფინანსებას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

***– ნატო ჩხეიძის მოგონებებს ერში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. დეპუტატი ამბობს, რომ პარტიის თათბირზე აქტიურად განიხილავდნენ, თუ რა დღეებშია დასაშვები სექსი. ამ პარტიის წევრი თქვენც იყავით, მართლა უდგენდნენ პარტიის წევრებს სექსის გრაფიკს?***

– მარტო სექსის გრაფიკის შედგენა რომ ყოფილიყო, რა უჭირდა. აქ ისეთი ამბები ხდებოდა, ნატო ჩხეიძის მოგონებები უწყინარი ზღაპარია. რაღაც დროის მანძილზე ამ პარტიის წევრი ვიყავი, მათი სამზარეულო კარგად ვიცი, მაგრამ ყველაფერზე საუბარი ჩემი მხრიდან ლამაზი არ იქნება.

როდესაც პატრიოტთა ალიანსზე საუბრობთ, უნდა იცოდეთ, რომ ეს პარტია კი არა, არამედ ჩვეულებრივი სექტაა. მათი ლიდერი დავით თარხან-მოურავი არის ბუდა, გნებავთ კერპი. ეგ რომ პარტიის ოფისში შედის, ყველა და ყველაფერი შეშდება.

***– რას ნიშნავს, ეგ რომ ოფისში შედის, ყველა შეშდება?***

– იმას, რასაც გეუბნებით. თარხან-მოურავი სანამ თავის კაბინეტში არ შევა, ან სადმე თვალს არ მიეფარება, ყველა გაუნძრევლად დგას.

***– ალიანსის ყოფილი წევრებისგან გამიგია, რომ თარხან-მოურავი „მაგარი ბულკი და ჯიგარი ადამიანია“.***

– ამბობენ, რომ ადრე მართლა ძალიან მაგარი ტიპი იყო. მასთან კაბინეტში ნებისმიერ დროს შეგეძლო შესვლა. ახლა სულ სხვა სიტუაციაა. ივანიშვილთან უფრო იოლად შეხვალ, ვიდრე მაგასთან.

***– ასე რამ შეცვალა?***

– ალიანსში სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც პარლამენტში მოხვდნენ და ივანიშვილს დაუახლოვდნენ. ამის შემდეგ ესენი გადაიქცნენ სექტად. ხალხს სექსის გრაფიკის დაწესება გაუკვირდა, თქვენ უნდა ნახოთ, იქ ერთობლივი ლოცვები რომ ტარდება.

> ალიანსში სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც პარლამენტში მოხვდნენ და ივანიშვილს დაუახლოვდნენ. ამის შემდეგ ესენი გადაიქცნენ სექტად. ხალხს სექსის გრაფიკის დაწესება გაუკვირდა, თქვენ უნდა ნახოთ, იქ ერთობლივი ლოცვები რომ ტარდება.

***– ლოცვა დანაშაული არაა და არც სექტანტობაზე მიუთითებს.***

– ლოცვა უნდა აღავლინოს სასულიერო პირმა და არა – პარტიის თავმჯდომარემ. სასწაულები ხდება ამ პარტიაში, მაგრამ რაკი ამ პარტიის წევრი ვიყავი, მეტს არ ვილაპარაკებ.

მხოლოდ იმას გეტყვით, რომ პარლამენტში მოსვლის შემდეგ, ამათ დიდი ფული იშოვეს და უზარმაზარი ოფისი შეიძინეს.

***– თქვენ ამ პარტიიდან რატომ წამოხვედით?***

– პარტიიდან ბევრი ადამიანი წამოვიდა. მათ იქ შექმნილ ვითარებას ვერ გაუძლეს. კიდევ ერთხელ გეუბნებით, იქ სასწაული რამეები ხდება, რაზეც საუბარი არ მინდა.

***– ნატო ჩხეიძის მოგონებებზე ერმა ბევრი იხალისა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მას პარტიის სამზარეულო გარეთ არ უნდა გამოეტანა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– ნატო ჩხეიძის განკითხვას არ ვაპირებ, ეს მისი გადაწყვეტილებაა. არ არის ლამაზი, როდესაც ასეთი რამეები გამოგაქვს სააშკარაოზე, მაგრამ მის მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ. მას პარტია გვერდით არ დაუდგა და ის ძალიან გაბრაზებულია.

თავის დროზე ნატო ჩხეიძემ და მისმა მეუღლემ ამ პარტიისთვის საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ალიანსის ლიდერები ვალდებული იყვნენ, მათ მხარდასაჭერად განცხადება მაინც გაეკეთებინათ. პარტიის ხელმძღვანელობამ დუმილი და ივანიშვილის კეთილგანწყობის შენარჩუნება ამჯობინა.

***– ზაზა ოქუაშვილი ამბობს, რომ ივანიშვილმა მოსთხოვა ალიანსის დაფინანსება. ინაშვილი ამბობს, რომ არანაირი დაფინანსება მათგან არ მიუღია.***

– მე უკვე გითხარით, რომ „ომეგა ჯგუფი“ ალიანსის დამფინანსებელი იყო. ამ პარტიას სხვა ბიზნესმენებიც აფინანსებენ. გარდა იმისა, რომ ფულიან ხალხს ალიანსის დაფინანსებას ივანიშვილი სთხოვდა, თარხან-მოურავსაც კარგად შეეძლო ბიზნესმენების „დაკერვა“.

***– რანაირად „კერავდა“ ბიზნესმენებს თარხან-მოურავი?***

– თავისი მეთოდები აქვს. პირადად შევესწარი, როგორ შეახუჭუჭა ერთი ბიზნესმენი 300.000-იან დაფინანსებაზე. ამ ბიზნესმენის ვინაობას არ დავასახელებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მას ალიანსის ლიდერმა აზნაურობა უბოძა.

***– აზნაურობა რანაირად უბოძა, მეფეა?***

– უთხრა, რომ შესწავლილი გენეალოგიის მიხედვით, ის ბიზნესმენი აზნაურია. ამის დამადასტურებლად ხეც გადასცა.

***– რა ხე გადასცა?***

– ე.წ. საგვარეულო ხე. მის ერთ-ერთ ტოტზე ამ ბიზნესმენ-აზნაურის გვარიც იყო. ეს ხე თავად თარხან-მოურავმა დახატა. მინდა იცოდეთ, რომ ეს ადამიანი ძალიან კარგად ხატავს. პოლიტიკაში რომ არ წასულიყო, მაგარი ხატმწერი იქნებოდა.

***– ამ დახატული ხის და აზნაურის ტიტულის გამო გაიმეტა ბიზნესმენმა ამხელა თანხა?***

– მარტო ეს არ იყო მიზეზი, მაგრამ აზნაურის ტიტულმა დიდი გავლენა იქონია ამ ადამიანზე. ბიზნესმენებმა კარგად იციან, რომ ალიანსი „ოცნების“ სატელიტია და ამ პარტიას სარგებლის პოვნის იმედითაც აფინანსებენ.

> პირადად შევესწარი, როგორ შეახუჭუჭა ერთი ბიზნესმენი 300.000-იან დაფინანსებაზე. ამ ბიზნესმენის ვინაობას არ დავასახელებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მას ალიანსის ლიდერმა აზნაურობა უბოძა.

***– თქვენც სარგებლის საძიებლად წახვედით ამ პარტიაში?***

– პარტიაში იმიტომ შევედი, რომ ისინი ნაციონალებს ებრძოდნენ. პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, ალიანსს ნაციონალები იშვიათად ახსენდება.

***– რაღა იშვიათად, რეზოლუცია მიიღეს და ნაციონალების დასჯას ითხოვენ.***

– იმიტომ ითხოვენ, რომ „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდა. საშინელ სკანდალშია გახვეული ხელისუფლება და საჭიროა, მთელი ყურადღება ისევ ნაციონალებზე გადავიდეს.

***– თავად „ოცნებამ“ რომ შეუტიოს ნაციონალებს, რა მოხდება? ხალხს ეს არ ეწყინება.***

– თავად ისე დაემსგავსნენ ნაციონალებს, რომ მათგან შეტევა აღარ გამოვა. უმჯობესია, ეს მისია ალიანსმა შეასრულოს.

***– შარშან ალიანსი გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნით შიმშილობდა. ამის გაკეთებაც ივანიშვილმა დაავალა ალიანსს?***

– ეს მათი ინიციატივა იყო. ისინი ყოფილ პრემიერს გიგა ბოკერიას გამო დაუპირისპირდნენ. „ახალ თაობასთან“ ადრეც მისაუბრია, რომ „ევროპული საქართველო“ კვირიკაშვილის პროექტი იყო. ამ პროექტმა ალიანსი დააზარალა. ივანიშვილი მათ დაჰპირდა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა გახდებოდნენ. ბოკერიას გადმობირების შემდეგ კი, მთავარ ოპოზიციურ ძალად „ევროპული საქართველო“ იქცა.

პატრიოტთა ალიანსი ამას ვერ ეგუება და ამიტომაც არის, რომ ინაშვილი გიგა ბოკერიას ხშირად ესხმის თავს და წარსულს ახსენებს.

ახლო მომავალში ის ალბათ ნაციონალების ფრაქციასაც გაიხსენებს. ნატო ჩხეიძე და მისი მეუღლე ამ პარტიის მხარდამჭერები გახდნენ, რაც ალიანსისთვის დიდი დარტყმაა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავის დროზე განიხილებოდა ნატო ჩხეიძის „ქართული ოცნების“ სიაში შეყვანა, მაგრამ მერე ივანიშვილმა თავი შეიკავა.

***– რატომ შეიკავა თავი?***

– ნატო ჩხეიძე და მისი ქმარი ასე იოლად სამართავები არ იყვნენ. თავის დროზე ზაზა ოქუაშვილმა საააკაშვილთან დაპირისპირება გაბედა და ეს ქონების დაკარგვად დაუჯდა. ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა, რომ ოქუაშვილი კერკეტი კაკალი იყო. ივანიშვილს თავის გუნდში კერკეტი კაკლები არ უნდოდა. ამიტომაც გაუშვა ეს ცოლ-ქმარი სატელიტ პარტიაში.

თავიდან ამ ოჯახს „ოცნებასთან“ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. იმდენად კარგი, რომ მათ მმართველი პარტიის დეპუტატებს მანქანები აჩუქეს.

***– რომელ დეპუტატებს აჩუქეს?***

– აჭარის უმაღლესი საბჭოს „ოცნების“ დეპუტატებს. ოქუაშვილი ხომ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრია.

***– იმათ თუ ჩუქნიდა მანქანებს, ცენტრალურ ხელისუფლებისთვისაც ეჩუქებინა. რატომ უთხრა მათ უარი?***

– ამათ ნამეტანი მოინდომეს და მაგიტომ თქვა უარი. მიშას არ დაუთმო თავის დროზე და ამათ რატომ შეეჭმევინებოდა. მისი სახით ნაციონალებმა სერიოზული ძალა შეიძინეს. არ გამოვრიცხავ, ოქუაშვილს ძალიან ბევრი სკანდალური ჩანაწერი ჰქონდეს.

### ლადო სადღობელაშვილი: „ოცნების“ სატელიტ პატრიოტთა ალიანსში სექსის გრაფიკსაც ადგენდნენ და ბევრ სხვა რამესაც აკეთებდნენ“

მისმა მეუღლემ პატრიოტთა ალიანსი უკვე დატოვა, სავარაუდოდ, ის ნაციონალებში წავა. არაა გამორიცხული, პარლამენტში რაიმე ახალი ფრაქციაც შეიქმნას. „ოცნებაში“ უკვე ბევრ ადამიანს აქვს პროტესტის გრძნობა.

***– რას აპროტესტებენ?***

– ირაკლი კობახიძის დიქტატურას. ყველა ვხედავთ, რა დღეშია ეს ყმაწვილი. ერთი სული აქვს, ყველაფერი გააკონტროლოს. განსხვავებულ აზრს ვერ იტანს.

***– კობახიძე აქამდე ბულკის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ახლა რამ გააცეცხლა? ივანიშვილისგან მიიღო ნებართვა?***

– ივანიშვილი მას გაცეცხლებას არასდროს უკრძალავდა, პარლამენტის თავმჯდომარე აქამდე თავს იკავებდა.

***– ახლა რამ გააცეცხლა?***

– ახლა „მოიხოდა“, პოზიციები გაიმყარა, გუნდი შეკრა და თავის წარმოჩენას ცდილობს. ამას დეპუტატების დიდი ნაწილი ვერ აიტანს. დავით ჭიჭინაძე უკვე წამოვიდა უმრავლესობიდან. მას სხვებიც გამოჰყვებიან. ზოგი დამოუკიდებელი დეპუტატი იქნება, ზოგიც პატრიოტთა ალიანსში შევა.

***– ვინ შეიძლება „ოცნებიდან“ ალიანსში ვიხილოთ?***

– ვერ გეტყვით, ამას „ოცნების“ ლიდერები გადაწყვეტენ. თავიანთ სატელიტ პარტიაში შემთხვევით ადამიანს არ გაუშვებენ.

მინდა ისიც იცოდეთ, რომ პატრიოტთა ალიანსი უშუალოდ ივანიშვილის პროტეჟე არ არის. მას შედარებით ქვედა რგოლი მფარველობს.

***– ამ ქვედა რგოლს ვინ შეადგენს?***

– ბიძინასთან დაახლოებული ტიპები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალები რომ მთავარი ოპონენტები არიან, ეს დანარჩენი ოპოზიციის ბრალია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო რამაზ, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ხელისუფლების შეფასებით, ნაციონალური მოძრაობის ორკესტრირებული კამპანიაა წინასაარჩევნოდ. თუმცა კითხვები არის. თქვენი შეფასება როგორია?***

— ბევრი კითხვა არსებობს როგორც ერთი მიმართულებით, ისე მეორე მიმართულებით. კითხვა არის ხელისუფლებასთან და კითხვა არის ბიზნესთან. ბიძინა ივანიშვილმა, რომელთანაც ოქუაშვილს პრეტენზიები აქვს, სახელმწიფოს 2 მილიარდამდე თანხა დაახარჯა. მეორე მხარეს არის ოქუაშვილი, რომელსაც სახელმწიფოსი 50 მილიონი მართებს. მე ვფიქრობ, რომ აქ არის ნდობის კვანძი. თუმცა, ფაქტია, რომ სანამ ამ ჩანაწერების ავთენტურობის საკითხი ბოლომდე არ გარკვეულა, რჩება ინსინუაციებისთვის ადგილი. თუ ამ ჩანაწერების 10% მაინც არის ხელმოსაჭიდი ანუ რეალობა, რასაკვირველია, მაშინ ეს საგანგაშოა.

***— საარჩევნო ველზე კვლავ რჩება ორი მოთამაშე — „ოცნება“ და ნაციონალები. „ქართული ოცნების“ ლიდერები მთელ აქცენტს კვლავ ნაციონალურ მოძრაობაზე აკეთებენ, რატომ? ისინი თვლიან, რომ მთავარი ოპონენტები სწორედ ნაციონალები არიან?***

— ნაციონალური მოძრაობა რომ არის დღეს კვლავ მთავარი ოპონენტი „ქართული ოცნების“, ეს რეალობა დანარჩენმა ოპოზიციურმა სპექტრმა შექმნა. აქ მე ყველაზე მეტი საყვედური სწორედ დანარჩენი ოპოზიციის მიმართ მაქვს.

არ შეიძლება, ამაში ხელისუფლება დავადანაშაულო ან თავად ნაციონალური მოძრაობა. ხელისუფლებას, ცხადია, უნდა სუსტი ოპონენტი და ნაციონალურ მოძრაობას, რასაკვირველია, უნდა, რომ თვითონ იყოს მთავარი ოპოზიცია. ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. გასაკვირი ის არის, რომ ამ მოცემულობის შესაცვლელად არაფერს აკეთებს დანარჩენი ოპოზიცია.

ოპოზიციური სპექტრი რომ ყოფილიყო უფრო აზრიანი, უფრო პროდუქტიული და მოსახლეობის მეტი ნდობა დაემსახურებინა, მაშინ „ქართული ოცნება“ არ იქნებოდა ასეთი უალტერნატივო, როგორც დღეს არის. დღეს ხომ მას რეალურად ალტერნატივა არ ჰყავს, ეს იცის კარგად და ამ გადმოსახედიდან მოქმედებს. თუ მას რეალური ალტერნატივა ეყოლებოდა, მაშინ იძულებული იქნებოდა, ბევრად უფრო გონივრულად ემოქმედა.

***— ოპოზიციური პარტიები ალბათ იტყვიან, რომ პარტიების გასაძლიერებლად არაფერს აკეთებს ხელისუფლება.***

— ეს იქნება თითის გაშვერა სხვა მიმართულებით, რეალურად კი ოპოზიცია დღეს უუნაროა. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ის იმავე სტილში მოქმედებს, როგორც მთელი 9 წლის განმავლობაში მოქმედებდა. ეს არის აგრესია, ნეგატივი, შანტაჟი. ამიტომაც არის, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ იღებს იმაზე მეტ პროცენტს, რომელიც მას ტრადიციულად აქვს თავისი ერთგული ამომრჩევლისგან.



6 წლის თავზე საზოგადოება ხელისუფლებით კმაყოფილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ უკმაყოფილებით ნაციონალური მოძრაობა ვერ იგებს, მის პროცენტულ მაჩვენებელს ეს უკმაყოფილება არ ემატება, იმდენად მიუღებელია მათი პოლიტიკური სტილი ადამიანებისთვის.

***— თუმცა, ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ სწორედ ამ არჩევნებში გარდატეხას მოახდენს.***

— მაგრამ ამის თქმის საფუძველი ხომ უნდა ჰქონდეთ?! შიდა კვლევებით და ამ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ამის იმედი გქონდეს?! თუმცა, ერთი შემიძლია გითხრათ: თუ მოსახლეობის მხარდაჭერა გაგრძელდა ზაზა ოქუაშვილის მიმართ, როგორც დაჩაგრული ბიზნესმენის მიმართ და ა.შ. მაშინ ეს მხარდაჭერა აუცილებლად გადაითარგმნება ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერაში, ყოველ შემთხვევაში, ამას ეცდება ნაციონალური მოძრაობა და გააკეთებს კიდეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატი ჩავარდება.

ალტერნატივად კი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი რჩება, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობის ძალაუფლება აღდგეს. დანიშნავს ვადამდელ არჩევნებს, ჩამოიყვანს ჩამოსაყვანს, ციხიდან გამოუშვებს გამოსაშვებს და ა.შ.

ეს არის სცენარი, რომელიც კვლავ ასეთი არჩევანით ეძლევა ამომრჩეველს — ან ნაციონალური მოძრაობა, ან „ქართული ოცნება“. ეს არჩევანი კი შექმნა არა „ოცნებამ“, არამედ ნაციონალურმა მოძრაობამ.

***— რასაც აჰყვა „ოცნება“?***

— როგორც ჩანს, მაგრამ ახლა ყველაფერი ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს.

# „ქართული ოცნების“ 6-წლიანი მმართველობის შემდეგ ექსპერტებს 6 კონკრეტული პროექტის გახსენება უჭირთ

6 წელი გავიდა, რაც „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფო მართვის სადავეები არჩევნების გზითა და ოპტიმისტური დაპირებებით გადაიბარა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რა გააკეთა და რა ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული პროექტებით დაამახსოვრა მმართველმა პარტიამ საზოგადოებას თავი. ჩვენს რესპონდენტებს სიმბოლურად 6 ასეთი პროექტის დასახელება ვთხოვეთ.



ეკონომისტი ირაკლი ყიფიანისთვის ხელისუფლების მიერ განხორციელებული 6 მნიშვნელოვანი პროექტის გახსენება რთული აღმოჩნდა. ყიფიანმა „კომერსანტთან საუბარში ყურადღება მხოლოდ სამ პროექტზე გაამახვილა.

— ბოლო წლებში ქვეყნისთვის გამოწვევა იყო ინფრასტრუქტურა, კარგი წამოწყება იყო ის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მნიშვნელოვანი თანხის ჩადება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, ვერ ვაფასებ იმას, რამდენად იყო პროექტები ხარჯთეფექტური და გამჭვირვალე.

ძალიან კარგი რეფორმა, რომელიც ამ ხელისუფლებამ გააკეთა არის ესტონური მოდელის დანერგვა, რა დროსაც, მოგების გადასახადი რეინვესტირების შემთხვევაში აღარ იბეგრება. ეს ერთ მნიშვნელოვნად კარგი რეფორმა იყო თუმცა, ნეგატიური ახლდა ის, რომ აქციზის გადასახადი გაზარდეს.

ჩემი აზრით, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია ქვეყნისთვის იმ ტრენდის გაგრძელება, როდესაც ჩვენ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობას მოვაწერეთ ხელი, — აცხადებს ირაკლი ყიფიანი.

ირაკლი ყიფიანი იმ პროექტებზეც საუბრობს, რომელიც ცენტრალური მთავრობის აზრით ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ხელისუფლება ეკონომიკური ზრდისკენ მიმართული რეფორმებით არ გამოირჩევა.

— საბანკო მიმართულებით პოზიტიურს ვერაფერს ვიტყვი. ხელისუფლების მიერ გატარებული ახალი საბანკო რეგულაციების მიზანი დედოლარიზაციის შემცირება იყო. მაგრამ, რეალურად ასეთი ტიპის რეფორმები არ ამცირებს ქვეყანაში დედოლარაზაციას. დედოლარიზაციას ამცირებს ის, რომ ადამიანებს ჰქონდეთ მეტი შემოსავლები. კიდევ ერთი პროექტი რომელზეც ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ აწარმოე საქართველოა. ვთვლი, რომ სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს ინვესტირება მსგავსი ტიპის პროექტებში ჩვენი გადასახადებით იმიტომ, რომ ყველაზე რისკიან პროექტებში სახელმწიფომ ამოღებული გადასახადები არ უნდა გადაიხადოს მაშინ, როდესაც ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. იმ სექტორში სადაც, ბანკი არ დებს თანხას, ნიშნავს იმას, რომ ინვესტირება არც სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს, — განაცხადა ირაკლი ყიფიანმა.

თავისუფალი საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე გოგი წულაია „ქართული ოცნების“ ქვეყნისთვის სასიკეთო ვერც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვერ იხსენებს. მისი თქმით, კარგი რეფორმები აუცილებლად აისახებოდა ქვეყანაზე — წულაია კი ვერაფერს ხედავს.

— მე ნამდვილად ვერ ვიხსენებ ამ მთავრობას რაიმე მნიშვნელოვანი გაეკეთებინოს, და რაც არ უნდა მნიშვნელოვანი გაეკეთებინოთ იმდენი აქვთ გაფუჭებული, ის ექვსი გადაფარული აქვთ მთლიანად. ეს კითხვა „ქართული ოცნების“ წევრებს უნდა დაუსვათ და ისინი ექვსსაც გაიხსენებენ და სამოცსაც. მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც დადებითად აისახება ქვეყანაზე, რა სფეროში აქვს დადებითი გავლენა საგარეოში, ეკონომიკაში, ეკოლოგიაში თუ რაში აქვთ მნიშვნელოვანი ძვრები? არსად. დანგრეული და დაქცეულია ქვეყანა და ეკონომიკაც უკან-უკან მიდის. შეიძლება თქვან, ოპოზიციური პარტიიდან არისო, მაგრამ, სასიკეთოს ვერაფერს ვიხსენებ და მომკალით, თუ გინდათ, — განაცხადა გოგი წულაიამ.

„ქართული ოცნების“ 6 მნიშვნელოვანი პროექტის გახსენება უჭირს პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძესაც. პოლიტოლოგი თვლის, რომ ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით რაღაც წარმატებები არის, თუმცა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე ნაკლებად აისახა.

— როდესაც განვლილ 6 წელიწადზე ვლაპარაკობთ, ყველას რაც ახსენდება, ეს არის საყოველთაო ჯანდაცვის პროექტი, რომელიც საკმაოდ მასშტაბური ხასიათის იყო და, ჩემი აზრით, საკმაოდ წარმატებითაც მიმდინარეობს. მედიკამენტების ფასებთან მიმართებაში ვთვლი, რომ რეფორმას დახვეწა სჭირდება.

მეორე პროექტი რაზეც შეიძლება აპელირება ეს არის ის, რომ მუდმივად იყო რთველის პრობლემა, გარკვეულ წილად სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ამ პრობლემის მოგვარება. უკვე ორი წელია სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამიდან გამოვიდა, რადგან ყურძნის ჩაბარება პრობლემა აღარაა, რაც მისასალმებელია.

ასევე საინტერესო პროექტია აწარმოე საქართველოში. თუმცა, ამ პროექტის განხორციელებამ რა შედეგი მოიტანა ეს არ ვიცით, ამ საკითხთან მიმართებაში უფრო მეტი ინფორმაცია უნდა იყოს გაზიარებული, — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

პოლიტოლოგი ამბობს, რომ ხელისუფლებამ პირველ რიგში ქართული ბიზნესის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

— სამწუხაროდ, ვხედავ, რომ მიმდინარეობს წვრილი და საშუალო ბიზნესის შევიწროება, ვგულისხმობ იმას, რომ მსხვილი ბიზნესი იმ ადგილებს იკავებს, რასაც საშუალო და წვრილი ბიზნესი უნდა ფლობდეს. ხდება გამსხვილება და მათი სივრცე იზღუდება. მცირე ბიზნესს არ აქვს საშუალება წარმოების მიმართულებით მოახდინონ გადაიარაღება. ვერ სარგებლობენ ბანკების მომსახურებით იმიტომ, რომ მაღალი პროცენტია, სწორედ ამიტომ ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს წვრილი და საშუალო ბიზნესის მიმართულებით, — განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

# ფადი ასლი: „დღეს ინვესტორები ქართულ სასამართლოს არ ენდობიან“

— დღეს, ბიზნესისთვის და ინვესტიციებისთვის ყველაზე დიდი დაბრკოლება ქართული სასამართლო სისტემაა. ამიტომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოს შემოსვლა უტყუარი გზავნილი იქნება, რომ მათ შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, — ამის შესახებ საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი ფადი ასლი რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს.

როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა, რომ საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის კომერციული არბიტრაჟი დაფუძნდება.

მისი თქმით, 20 დეკემბერს, პარიზში, საქართველო აღნიშნულ შეთანხმებას ხელს მოაწერს საერთაშორისო არბიტრაჟთან.

— ეს ნიშნავს, რომ საქართველო ფაქტობრივად ევროპაში იქნება მეორე ქვეყანა, ვინც მსგავსი ტიპის სერვისს შესთავაზებს ბიზნესს და ზოგადად წაახალისებს ეკონომიკურ აქტივობას. ეს არის ყველაზე მაღალი თამასა, რომელიც კი არსებობს ზოგადად არბიტრაჟის მიმართულებით, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი ფადი ასლის განცხადებით კი, ეს არის ძალიან დიდი მოვლენა, რადგან 11 წელია ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

— ინვესტორები არ ენდობიან ქართულ სასამართლოს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის დაფუძნება კი მათ რწმენას გაუჩენს და იმ შემთხვევაში თუ რაიმე პრობლემა შეიქმნება, არ მოუწევთ მიმართონ სასამართლოს, რადგან შესაძლებელი იქნება წავიდნენ საერთაშორისო არბიტრაჟში. ამასთან, არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები გაკონტროლდება პარიზის არბიტრაჟის მიერ, იმისათვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ — არბიტრებზე არ ხდება ზეწოლა ან არ არის კორუფციის ფაქტები, და ეს არის ყველაზე სწორი მექანიზმი ინვესტორების დასარწმუნებლად, — განმარტავს ასლი.

მისივე თქმით, მემორანდუმის გაფორმების შემდეგ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, საარბიტრაჟო სასამართლოს ასამუშავებლად.

— ამ ეტაპზე ზუსტად ვერ გეტყვით, როდის დაიწყებს საარბიტრაჟო სასამართლო მუშაობას, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა იმედი მაქვს, რომ 2019 წლის ბოლოს, არბიტრაჟი ოფიციალურად დაიწყებს ფუნქციონირებას, — ამბობს ფასი ასლი.

საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი დასძენს, რომ მეტი დეტალი მაგალითად: რამდენი არბიტრი იმუშავებს და რა მოცულობის საქმეების განხილვა იქნება შესაძლებელი, მომავალი წლის იანვარ-მარტში გახდება ცნობილი.



# ეკა გიგაური: „თუ ხელისუფლების მიზანია სამოქალაქო სექტორის გაჩუმება, ეს არ მოხდება“

## „არასდროს გვითქვამს, რომ ადეიშვილის სასამართლო დღევანდელზე უკეთესია“

იაგო ნაცვლიშვილი



საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარის გადაცემა „არჩევანში“ გაკეთებულ განცხადებებს აფასებს, რომლებიც ირაკლი კობახიძემ არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით გააკეთა.

„არსებობს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „არასამთავრობო სექტორი“, რომელსაც უწოდებენ ხოლმე ხანდახან სამოქალაქო სექტორს, ამას არ აქვს კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან. ჩვენ მივეცით, რეალურად, სამოქალაქო საზოგადოებას განვითარების შესაძლებლობა, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩება ჩაკეტილი წრე – ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ რეალობა არის მთავარი, ხომ? სერიოზული პრობლემებია. მე შეფასებას ვაკეთებ და ვადასტურებ, რაც შეეხება სიღრმეში შესვლას, ეს არ მინდა.

იგივე არასამთავრობო ორგანიზაციები ამბობენ რას: ხშირად გაუკეთებიათ ასეთი განცხადება, რომ სასამართლოში, თურმე, 2012 წლამდე იყო უკეთესი ვითარება, ვიდრე არის დღეს. ანუ, წარმოიდგინეთ, ეს არის უტიფრობა, ელემენტარულად. ისინი ადეიშვილის სასამართლოს, პირდაპირ იუსტიციის ქვეშ მოქმედებდა სასამართლო სისტემა, ადარებენ დღევანდელ სისტემას. მინდა, რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი მოგიყვანოთ და რა დონეზე არაობიექტურია მათი შეფასებები, უბრალოდ, ამის დადასტურება მინდა. ახლა რა ხდება სასამართლოში – ეს მარტო სტატისტიკა კი არ არის, ამის უკან დგას თითოეული ადამიანის დაცული უფლება, ამ სტატისტიკის უკან დგას გადარჩენილი სიცოცხლეები და თავისუფლება“ – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

***– ქალბატონო ეკა, მორიგი მწვავე კრიტიკა გაისმა ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო სექტორის მიმართ. ძალიან მწვავე განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ. როგორ აღიქვით ირაკლი კობახიძის განცხადებები, ეს იყო ხელისუფლების მორიგი შეტევა არასამთავრობო სექტორზე თუ სხვა რამე?***

– როგორც ჩანს, მათ სპეციალურად მომზადებული მესიჯ-ბოქსი ჰქონდათ. ისინი თავს ესხმოდნენ არასამთავრობო სექტორს და პერსონალურად მე. როგორც ჩანს, მათ პიარ-ტექნოლოგებმა ეს რჩევები მისცეს, რადგანაც ამ მარათონში ჩართული იყო არა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე, არამედ რამდენიმე სხვა ადამიანიც. მათ არც ვიცნობდი, აღმოჩნდა, რომ ისინი დეპუტატები არიან. სხვა აქტივობებით, როგორც ჩანს, არც გამოირჩევიან.

მათ ვურჩევდი, რომ ენერგია და დრო დახარჯონ იმაზე, როგორ მუშაობს ჩვენი პროკურატურა. პროკურატურა ეფექტური რომ ყოფილიყო და გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით გამოძიება ჩაეტარებინა, „ქართული ოცნება“ ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდა. ხალხს პროკურატურისა და გამოძიების მიმართ მაღალი ნდობა ექნებოდა და ხელისუფლებას თავის მართლება არ მოუხდებოდა.

დღეს ვხედავთ, რომ ბევრი გახმაურებული საქმე არსებობს. მათ შორის წინა ხელისუფლების დროს უკანონო ჩანაწერების არქივთან დაკავშირებული საქმეები. პირადი ცხოვრების გავრცელების საქმეებთან დაკავშირებული საქმეები, სარალიძის საქმე და ბევრი სხვა. მათზე საზოგადოებას აქვს კითხვის ნიშნები, მაგრამ როდესაც ეს კითხვის ნიშნები ისმება საზოგადოების მხრიდან, ყოველ ჯერზე მმართველ გუნდს დისკუსია გადააქვს პოლიტიკურ ჭრილში და იწყებენ საუბარს წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

საზოგადოებამ კარგად იცის, რა პრობლემები ჰქონდა წინა ხელისუფლებას. დღეს საზოგადოების ინტერესი დღევანდელი პრობლემების მოგვარებაა. დაარწმუნოს ხელისუფლებამ საზოგადოება იმაში, რომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ იგივე საგამოძიებო მოქმედებების მიმართ იყოს მეტი ნდობა და სხვა მიმართულებითაც ეფექტურად მუშაობდნენ.

ამიტომ, მათ ვურჩევდი, რომ ძალისხმევა ამ მიმართულებით წარმართონ. მოსთხოვონ შესაბამის ორგანოებს, ეფექტური რეაგირება გააკეთონ სხვადასხვა ფაქტებზე.

ვფიქრობ, რომ ამ თავდასხმას შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზეზებიც.

***– რა მიზეზებზე საუბრობთ?***

– პირველი არის ის, რომ ამ კითხვებზე ხელისუფლებას პასუხები არ აქვს და ურჩევნიათ, რომ ადამიანების შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. მეორე არის ის, რომ, შესაძლოა, მათ მოლოდინი აქვთ, რომ მომავალშიც ჩვენ შეიძლება კრიტიკული ანგარიშები გავაკეთოთ.

***– მმართველი გუნდის ლიდერი წინასაარჩევნოდ ასეთ განცხადებას რომ აკეთებს, ხომ არაა ეს პრევენცია იმ კრიტიკულ დასკვნებზე, რაც შესაძლოა არასამთავრობოებმა გააკეთონ არჩევნების თემაზე?***

– აქეთკენ მიმყავდა საუბარი. ეს შეიძლება იყოს მათი მხრიდან გარკვეული პრევენცია და ემზადებოდნენ იმისთვის, რომ ჩვენ ვიქნებით კრიტიკულები. მაგრამ, თუ ისინი არაფერს დააშავებენ, ჩვენც არ ვიქნებით კრიტიკულები. ძალიან მარტივად არის საქმე. იგივე ბოლოს გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, თუ საქმეში ჩართულ ყველა პირს დასჯიან, ჩვენ მათ მადლობას გადავუხდით და დადებითად შევაფასებთ.

თუ ხელისუფლების მიზანია, რომ სამოქალაქო სექტორი გაჩუმდეს, ეს ასე არ მოხდება. ცხადია, მათ აქვთ ასეთი მიზანი. 2 ოქტომბერს ძალიან ანერვიულებულები იყვნენ და აგრესიით გამოირჩეოდნენ.

წინა ხელისუფლების დროსაც თავს გვესხმოდნენ. მაშინაც არ გავუჩერებივარ ამას მე პირადად და ვერც ეს ხელისუფლება ვერ მოახერხებს, რომ ჩემი კრიტიკა გააჩეროს. ამიტომ ტყუილად ხარჯავენ დროს და ენერგიას და სჯობს, რომ ამ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს უპასუხონ.

***– ზოგადად ხელისუფლებების თავდასხმას როგორ აფასებთ არასამთავრობო სექტორზე, მედიაზე, კრიტიკულად განწყობილ ანალიტიკოსებზე?***

– მე მგონია, რომ ეს მიუთითებს იმაზე, რომ კვალიფიციური პასუხები არ აქვთ კითხვებზე. როდესაც ასე ხდება, მაშინ ეს ყველაფერი აგრესიაზე გადადის. მათ არ იციან პრობლემიდან გამოსავალი და სხვა დამნაშავეებს ეძებენ. ეს სხვა დამნაშავეები შეიძლება იყოს მედია, არასამთავრობო სექტორი, ან კრიტიკულად განწყობილი ექსპერტი...

ვინც აკრიტიკებს ხელისუფლებას, ყველას სურვილი ქვეყნის გაჯანსაღებაა. ამიტომ აგრესიას აზრი არ აქვს. ხელისუფლებამ უნდა დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ ისინი ცდილობენ კრიზისიდან გამოსვლას, ეფექტური გამოძიების ჩატარებას და იმას, რომ ინსტიტუციების მიმართ ნდობა მაღალი იყოს. ასევე ეკონომიკური ვითარების გამოსწორებასა და სიღარიბის დაძლევას.

***– კობახიძემ თქვა ისიც, რომ არასამთავროები საუბრობენ, რომ ადეიშვილის სასამართლო დღევანდელზე უკეთესი ყოფილა. გაქვთ როდისმე ასეთი ფრაზა ნათქვამი?***

– არა. ასეთი ფრაზა არასდროს არ გვითქვამს. ვამბობთ, რომ რიგ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოში გვაქვს გაუმჯობესება, თუმცა როგორც კი შემოდის პოლიტიკა ამ საქმეებში, როგორც კი გავლენიან ჯგუფს უნდა, რაღაცას მიაღწიოს სასამართლო სისტემაში, სასამართლო ამ ზეწოლას და გარე გავლენებს ვერ უძლებს.

წინა ხელისუფლების პირობებში ჩვენ ვებრძოდით მურუსიძეს, ჩინჩალაძეს და მსგავს მოსამართლეებს. დღეს ეს მოსამართლეები დაწინაურებული და ყველაზე გავლენიანი მოსამართლეები არიან. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი შეშფოთება ამასთან დაკავშირებით. ჩვენ ეს არ მოგვწონს და ყოველთვის ვილაპარაკებთ ამაზე.

***– როცა ხელისუფლება წინა ხელისუფლების დანაშაულებზე აპელირებს, რომელიმე გახმაურებული საქმე თუ გამოიძიეს ბოლომდე?***

– მე არ მახსენდება, თუმცა გამოძიებები მიმდინარეობდა ყოფილი თანამდებობის პირებთან მიმართებაში. იყო საქმეები, სადაც შეიძლებოდა, პროკურატურა უფრო ეფექტური ყოფილიყო. ჩვენ გვქონდა პროკურატურასთან ბევრი კითხვა.

ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ ყოფილი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დამდგარიყო. თუ ვინმემ დაარღვია კანონი, ცხადია, უნდა დამდგარიყო მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ამაზე ვსაუბრობდით ჩვენს ანგარიშებში ადრე და ამას ვამბობთ დღესაც. მაგრამ მთავარი არის ის, რომ დღეს ჩვენ ვართ ამ ხელისუფლების პირობებში. გავიდა 6 წელი, არის პრობლემები და ამ პრობლემების მოგვარების გზები გვინდა.

წინა წლებში რაც ხდებოდა, ამაზე უფრო კვალიფიციურად შემიძლია ვილაპარაკო, ვიდრე „ოცნების“ ნებისმიერმა წევრმა. 1.000 ანგარიში გვაქვს გამოქვეყნებული. ახლა ჩვენ გვაინტერესებს, ეს კონკრეტული ლოკალური პრობლემა როგორ გვარდება. ამიტომ ვართ ასეთი კრიტიკულები. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიიწევდეს და მუდმივად წარსულზე არ ვსაუბრობდეთ.

***– მუდმივად 9 წელზე საუბარი ხომ არ არის ის, რომ ხელისუფლებას უნდა, ეს არჩევნებიც ორპარტიული გახადოს და ვითარება შავ და თეთრ ფერებში წარმოადგინოს და სხვა ფერები გააქროს პოლიტიკური არენიდან?***

– შემოსულია პოლიტიკური შემადგენელი და, რა თქმა უნდა, ცდილობს ხელისუფლება, საზოგადოებას წინა პერიოდში არსებული პრობლემები გაახსენოს. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი მოქალაქეები მაინც აქტიურობდნენ არჩევნების პერიოდში. იმის მიუხედავად, რომ დიდი არჩევანი არ არის, არჩევანი მაინც არსებობს. მნიშვნელოვანია, პარტიებისა და კანდიდატების შეფასება მოხდეს არა პოპულისტური და პროპაგანდისტული გზავნილების საფუძველზე, არამედ იმის მიხედვით, თუ რას სთავაზობენ პარტიები მოქალაქეებს, რა პროგრამები და ხედვები აქვთ. სხვა გამოსავალი არ არის.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენ მუდმივად ჩხუბს ვხედავთ სატელევიზიო ეთერებში და ნაკლებად არის საუბარი კონკრეტული პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგსა და პროგრამებზე. ეს ცუდია იმიტომ, რომ მოქალაქეებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ ამ თემაზე, თუმცა იმედი მაქვს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად მოქალაქეებს მეტი ინფორმაცია ექნებათ პარტიების ხედვებთან და პროგრამებთან დაკავშირებით.

# „ივანიშვილმა ამ სისტემას ნაჯახით უნდა გადაუაროს“

## გია ხუხაშვილი: „ლევან ყიფიანი არის მოვლენა, რომელიც მეტასტაზებივით მოედო „ქართულ ოცნებას“

შორენა მარსაგიშვილი



**ბიძინამ თუ ამ ამბების შემდეგ კიდევ დუმილი შეინარჩუნა და ნაჯახით არ გადაუარა ამ ხალხს, მას ხვალ იმის კომფორტი აღარ ექნება, რომ ამ საზიზღრობაზე ხელები დაიბანოს**

ქვეყანა ისევ გაუგებრობაშია. ბოლო დღეებში გამოქვეყნებულმა ჩანაწერებმა ერის დიდ ნაწილს პირი დააღებინა, მაგრამ გამაოგნებელი ამბავი წინ გველოდა თურმე.

ამ ამბების მთავარი გმირი ლევან ყიფიანი გუშინ, 3 ოქტომბერს, სასამართლოში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

აქამდე გავრცელებული ჩანაწერებით ვიცოდით, რომ ის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ აცემინა, სარდაფში ჩააგდებინა, სადაც მას გაუპატიურებითაც კი დაემუქრნენ.

გამოკითხვაზე მიმავალი ყიფიანი მედიას დაჰპირდა, ისეთ ამბებს გაიგებთ, გაგიკვირდებათო. მან მართლაც გაგვაკვირვა – განაცხადა, ჩანაწერებს მე და ზაზა ოქუაშვილი ერთად ვაკეთებდითო.

მისმა აღიარებამ ყველაზე გაწონასწორებული ექსპერტი გია ხუხაშვილიც კი წყობილებიდან გამოიყვანა.

სკანდალურ აღიარებას ის სოციალურ ქსელში ასეთი პოსტით გამოეხმაურა:

„სარდაფში კი არ გამაუპატიურეს, სექსი მქონდა ლოგინში ოქუაშვილთანო. შემპირდა, ჰოლივუდში გავუშვებ ამ პორნოსო და მომატყუა, იუტუბზე დადოვო“

რამ დააწერინა ასეთი რამე, რას ურჩევს ბიძინა ივანიშვილს და ვინ სარგებლობს მისი სახელით? – ამ თემაზე გია ხუხაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ლევან ყიფიანის მიცემულ ჩვენებას საზოგადოებაში მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. თქვენი რეაქციაც ძალიან მკვეთრი იყო. ასეთ რამეებს სოციალურ ქსელში არასდროს წერთ და თავიდან ყველამ იფიქრა, რომ ფეისბუქი გაგიტეხეს.

– ეს ნამდვილად ჩემი რეაქცია იყო. ასეთი რამეების დაწერისგან ყოველთვის თავს ვიკავებ, მაგრამ არის რაღაცები, რაზეც ველარ გაჩერდები.

ლევან ყიფიანისგან სხვა ჩვენებას არც ველოდი.

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ის ხელისუფლების თამაშს ითამაშებდა, მხოლოდ ის იყო გასარკვევი, ტექნიკურად როგორ შეასრულებდა ამას.

შესრულება იყო მაკიაველის სტილში.

ამას ძალიან არ ჩავუღრმავდები, რადგანაც ყველაფერი გასაგებია და დიაგნოზიც დასმულია. უბრალოდ მინდა, ხელისუფლებამ ერთი მარტივი რაღაც იცოდეს – ყიფიანი არ არის ერთეული მოვლენა. ყიფიანი არის სისტემური მოვლენა, რომელიც მეტასტაზებივით მოედო „ქართულ ოცნებას“.

შესაბამისად, ზაზა ოქუაშვილი კი არ არის მათთვის გადასალახი ბარიერი, ურჩხული შიგნით უზით და იმას მიხედონ. თუ ამის თავი კიდევ აქვთ და ურჩხულმა ისინი მძევლად არ აიყვანა.

ძალიან სამწუხარო ვითარებაში ვიმყოფებით ახლა. ამ ქვეყნის ისტორია აჩვენებს, რომ ეს გზა უფსკრულისკენ მიდის. ბიძინა ივანიშვილს ახლა აქვს ორი ვარიანტი.

მას იმის ილუზია არ უნდა ჰქონდეს, რომ ამ სახით ამ მანკიერ სისტემას შეინარჩუნებს. საქართველოს მსგავს ქვეყნებში ასეთი სისტემა არ არის სიცოცხლისუნარიანი. ადრე თუ გვიან, რაღაც ფორმით ეს სისტემა აუცილებლად განიდევნება.

ივანიშვილს აქვს შანსი, რომ ამ სისტემას გაემიჯნოს, აღიაროს, რომ შეცდომა იყო და რაღაც ახალი და უკეთესი ააშენოს. ამას თუ არ გააკეთებს, მაშინ ასეთი გამოსავალი აქვს – გაინაწილოს პასუხისმგებლობა სისტემასთან ერთად. ამ გადაწყვეტილების მისაღებად მას დიდი დრო აღარ აქვს დარჩენილი.

მის მიმართ ადამიანური სენტიმენტები მაქვს და ძალიან მტკივა გული, ასეთი რამეების თქმა რომ მიწევს.

***– მის მიმართ მართლა გაქვთ სიმპათიები, მაგრამ ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებთ.***

– მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით ვმოქმედებ და სიმართლე აუცილებლად უნდა ვთქვა და ეს საჯაროდ უნდა გავაკეთო.

***– თქვენი აზრით, რომელ გზას აირჩევს ივანიშვილი, გაემიჯნება თუ სისტემასთან დარჩება?***

– როგორც მისი გულშემატკივარი, ვისურვებდი, რომ ქართული სახელმწიფოს სახელით მან ამ სისტემაზე ნაჯახით გაიაროს.

რაც არ უნდა ხდებოდეს ამ ისტორიის უკან, გასაგებია, რომ თაღლითობასთან გვაქვს საქმე. ეს თაღლითები ძალიან მომრავლდნენ და მთელ სისტემას მოედნენ. ეს თაღლითები ბიძინა ივანიშვილის სახელის ბოროტად გამოყენებით პირადი კეთილდღეობის მოწყობას ცდილობენ.

ისინი ცხოვრებას იწყობენ, ყველაფერი ბიძინას ბრალდება. ეს თაღლითები თავის ჭიას ახარებენ. ლევან ყიფიანი ამ სისტემაში ყველაზე დიდი უბედურება არ არის. მასზე ბევრად დიდი პრობლემები აქვს სისტემის შიგნით ბიძინას და ის ამისგან მალე უნდა გათავისუფლდეს.

მან თუ ამ ამბების შემდეგ კიდევ დუმილი შეინარჩუნა და ნაჯახით არ გადაუარა ამ ხალხს, მას ხვალ იმის კომფორტი აღარ ექნება, რომ ამ საზიზღრობაზე ხელები დაიბანოს.

***– ამბობთ, რომ ის დროშია შეზღუდული. როდემდე აქვს მას დრო, რომ ამ საზიზღრობას გაემიჯნოს?***

– დროში ძალიან შეზღუდულია. შემიძლია გავუგო, რომ არჩევნების წინ პარტიაში დიდი წმენდის დაწყება პოლიტიკურად წამგებიანი იქნება. ამიტომ ეს პერიოდი უნდა ვაცალოთ, მაგრამ წლის ბოლომდე ეს საზიზღრობა უნდა დაამთავროს.

***– თუ არ დაამთავრებს?***

– თუ არ დაამთავრებს, ეს იქნება პასუხი. პასუხი, რომელსაც ისტორია არავის პატიობს.

# „მაია ოთინაშვილს მის ბაღში 2 შავფორმიანი ჩაუსაფრდა და იქიდან გაიტაცა“

## დავით ქაცარავა: „ეს იმის ბრალია, რომ ხელისუფლებამ რუსეთს საქართველოში მაქსიმალური კომფორტი შეუქმნა“



ნონა ცაბაძე

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ძალა ერთობაშია“-ს ერთ-ერთი ლიდერი დავით ქაცარავა ცხინვალის ხელისუფლების მიერ მაია ოთინაშვილის გატაცების დეტალებზე საუბრობს.

**დავით ქაცარავა**

– ეს იყო ჩასაფრება საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. შავ ფორმაში გამოწყობილი ნიღბიანები გადმოვიდნენ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაია ოთინაშვილის კუთვნილ ბაღში, იქ ფარდული დგას და იქ იყვნენ დამალულები, ჩასაფრებულები, საკმაოდ დიდი ხანი ელოდნენ.

***– ეს საიდან იცით?***

– სკამიც კი გააკეთეს იქ სახელდახელოდ, როგორც ჩანს, დიდი ხანი მოუწიათ ლოდინმა. ამის შემდეგ, როდესაც მაია გამოვიდა თავის ბაღში და დაიწყო კაკლის კრეფა, ის გაიტაცეს.

მაიამ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა. ხელიც კი დაარტყა და წააქცია ერთ-ერთი თავდამსხმელი. მეორე ნაძირალასაც დაარტყა ხელი, მაგრამ ორმა მამაკაცმა საბოლოო ჯამში მოახერხეს მისი დატყვევება და მავთულხლართებზე ის გადაათრიეს და წაიყვანეს. აი, ეს არის გატაცების დეტალები, რომლებიც ყველამ უნდა იცოდეს.

***– რას ედავებიან?***

– მას წაყენებული აქვს ბრალდება, რომლის მიხედვითაც იგი თურმე ფულადი ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ, მოქალაქეებს ეხმარებოდა ე.წ. საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთაში.

უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მაიას სასტიკად სცემეს. მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. აი, ეს ფაქტი არის ძალიან მნიშვნელოვანი! ჩვენი საზოგადოების რეაქცია ჩემთვის მიუღებელია. ეს არის დაჩმორებული და მორალურად განადგურებული ერის რეაქცია!

ასევე არანაირი განცხადება არ გაკეთებულა ერთ საგანგაშო შემთხვევაზე.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ გუშინ, მთელი დღე, მეჯვრისხევი-ქერე-ოძისი, გადმოკვეთილი იყო საქართველოს მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან საბრძოლო ვერტმფრენებით. ქერე-მეჯვრისხევში ოთხი საბრძოლო ვერტმფრენი გადმოფრინდა რუსების, ხოლო ოძისში ორი სრული საბრძოლო აღჭურვილობით მი-24 აკეთებდა წრეებს, ოთხი-ხუთი წრე გააკეთა და შემდეგ დაბრუნდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

***– ამ თემაზე ხელისუფლების მხრიდან განცხადება არ ყოფილა.***

– საქმეც მაგაშია, ხმას არ იღებენ, ჩუმად არიან! სწორედ ეს არის კატასტროფა, ეს არის დანაშაული ერის წინაშე! ოპოზიცია იქნება თუ პოზიცია, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. ყველა ჩუმადაა.

***– აცხადებთ, რომ მაია ოთინაშვილი ნაცემია. რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა დავეხმაროთ?***

– რა უნდა გაკეთდეს და მთელ მსოფლიოს უნდა შევატყობინოთ, განგაში უნდა ავტეხოთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. უნდა გავაჟღეროთ პროტესტი ყველა მიმართულებით, სადაც ეს არის შესაძლებელი. წითელი ჯვარი იქნება თუ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, საელჩოები, მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტებს უნდა მივწეროთ და ასე შემდეგ. ყველა მიმართულებით უნდა შეექმნას რუსეთს დისკომფორტი.

ჩვენ კი ამ ყველაფერს ვერ ვხედავთ. მეტსაც გეტყვით, არათუ დისკომფორტს ვუქმნით, ორი დღის წინ, ერთ-ერთი ირლანდიული პაპიდან, მაკლარენის პაპი არის შარდენზე, იმისთვის, რომ ერთმა გოგონამ, მათ მიერ რუსული სიმღერის დაკვრის შემდეგ თქვა, რომ აფხაზეთი საქართველოა და რუსეთი ოკუპანტია, მასზე და მის მეგობარზე დაცვამ იძალადა, გამოაგდეს ბარიდან და მოხდა სერიოზული შეხლა-შემოხლა.

არანაირი დისკომფორტი არ ექმნება რუსეთს და, ბუნებრივია, ისინი გააკეთებენ ყველაფერს, რასაც მოისურვებენ.

***– მარტო თქვენი ორგანიზაციის პატრულირება ვერ უშველის სიტუაციას და ფაქტია, რომ ვერც შველის.***

– ბუნებრივია, თევზი თავიდან ლპება. ჩვენს ხელისუფლებას არჩეული აქვს კურსი, რომელიც გულისხმობს არგაღიზიანების პოლიტიკას და რუსეთისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. ოკუპირებულზე და არაოკუპირებულზე. შესაბამისად, ხელისუფლება აბსოლუტურად მზად არის ამ პროვოკაციებისთვის.

***– რას ნიშნავს, მზად არის?***

– არ უპასუხებს ამას. ყველაფრის უფლებას მისცემს. თბილისშიც რომ შემოვიდნენ რუსები, ამაზეც პასუხს არ გასცემენ, უკვე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება. აი, ეს არის ხელისუფლების პოზიცია.

მე უკვე ვოცნებობ იმაზე, რომ ერმა გაიღვიძოს და თვითორგანიზება მოახდინოს და მოახდინოს რეაგირება ამ ყველაფერზე, რასაც რუსები გვიკეთებენ. ან რას ვეძახით მოსალოდნელ პროვოკაციას?! პროვოკაცია ყოველდღე ხდება. ყოველდღე იტაცებენ ჩვენს მიწებს, ჩვენს თანამოქალაქეებს. მეტი რაღა უნდა ქნან?!

არც ის არის გამორიცხული, რომ წინასაარჩევნოდ იმატოს პროვოკაციებმა და უფრო საშიში სახეც მიიღოს. ოკუპანტების მოქმედებები მკვეთრად გააქტიურებულია. იმედი მაქვს, რომ საზოგადოება გამოფხიზლდება და რაღაცა რეაგირებას მოახდენს. სხვა არაფრის იმედი არა მაქვს.



# ნინო ლომჯარია: „მაია ოთინაშვილს რუსულ სამხედრო ბაზაზე სცემეს“

**საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ოკუპანტების მიერ 37 წლის მაია ოთინაშვილის გატაცების ფაქტს ეხმიანება.**

სპეციალური განცხადება ომბუდსმენის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. როგორც ლომჯარია წერს, მას ცხინვალიდან ახალი ინფორმაცია აქვს.

„საოკუპაციო ხაზზე დაკავებულ მაია ოთინაშვილთან დაკავშირებით, ჩვენთვის ახალი გარემოებები გახდა ცნობილი. ოჯახის ინფორმაციით, დაკავებული ნაცემია. მათი განცხადებით, ცემა მოხდა ქარძმანში განლაგებულ რუსულ ბაზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს ჰყავს ადვოკატი, მასაც არ მიეცა მაია ოთინაშვილის მონახულების საშუალება. ოჯახის ინფორმაციით, დაკავებული არ მოუნახულებია არც ერთ დამოუკიდებელ დამკვირვებელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ ეჭვს“ – წერს ლომჯარია.

ცხელი ხაზით მიღებული ბოლო ინფორმაციის თანახმად, ცხინვალში უკანონოდ დაკავებულ მაია ოთინაშვილს დე ფაქტო პროკურატურამ არა 2-თვიანი, არამედ 10-დღიანი ე.წ. წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ მაია ოთინაშვილი ხურვალეთიდან უკვე მე-5 დაკავებული ქალია.

„სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, უმკაცრესად დააყენონ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლისა და თავისუფლების, თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევის ფაქტები; ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს – მოლაპარაკების დღის წესრიგში შეიტანონ დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის გაცვლის უფრო ეფექტიანი მექანიზმის შექმნა ან არსებული, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ეგიდით მოქმედი ცხელი ხაზის მუშაობის გაფართოება და დახვეწა.

ეს შეიძლება მოიცავდეს დაკავებულის პირდაპირ სატელეფონო კავშირს ოჯახთან, კონკრეტული პირებისათვის პატიმართა/დაკავებულთა მდგომარეობის, დაკავების პირობების შემოწმების მანდატის მინიჭებას და ა.შ.

ამის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს რუსეთის ფედერაციისა და დე ფაქტო ხელისუფლებებმა მისცენ შეუფერხებელი და შეუზღუდავი დაშვება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე დახურულ დაწესებულებებში,“ – წერია სახალხო დამცველის განცხადებაში.

# რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთს საქართველო-რუსეთის საზღვარზე გადასვლის პროცედურას არ უმარტივებს

## აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წვრთნებზე სირიაში დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ




მარიამ მჭედლიშვილი

ომში „გამარჯვების“ 25-წლისთავის აღმნიშვნელ დღეებში ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმმა მიმოსვლა მკვეთრად შეზღუდა როგორც ენგურის ადმინისტრაციულ ზოლზე, ისე საქართველო-რუსეთის საზღვრის ფსოუს მონაკვეთზე.

აფხაზური მხრიდან ეს ზომა დროებითი იყო. სხვა დროს რუსეთიდან ამ რეგიონში შემოსვლა უპრობლემოდ შეიძლება. სამაგიეროდ, ირკვევა, რომ ამ ოკუპირებული რეგიონიდან რუსეთის ფედერაციაში მოხვედრაა გაძნელებული.

ამ საკითხზე აფხაზმა დეპუტატებმა რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრებთან სოხუმში ისაუბრეს, თუმცა, უშედეგოდ.

დუმის დსთ-ს საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კონსტანტინ ზატულინი აღნიშნავს, რომ ეს თემა პრეზიდენტების დონეზეა განსახილველი.

– ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელია აფხაზეთში შიდა არასტაბილურობის პირობებში. ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა, რომ კამათი და არასტაბილურობა რუსეთში შევიდეს. მე საგზაო რუკის მომხრე ვარ – უნდა დაისახოს მიზანი და განისაზღვროს მისი მიღწევის ეტაპები, – განუცხადა აფხაზ კანონმდებლებს ზატულინმა.

რა იგულისხმება არასტაბილურობაში, მას არ დაუკონკრეტებია, თუმცა, ფაქტია, რომ ოკუპირებულ რეგიონში სოციალურ, ეკონომიკურ პრობლემებსა და მმართველობით კრიზისს პოლიტიკური დაძაბულობის ნიშნებიც დაემატა. დეფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას მიჩუმებული ოპონენტები გამოცოცხლდნენ. არასამთავრობო, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, დამოუკიდებელმა დეპუტატებმა დამოუკიდებელ პროფკავშირებთან თანამშრომლობით შექმნეს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გადარჩენის მოძრაობა.

ეს მოძრაობა მასშტაბურია და ხაჯიმბასთან კომპრომისს არ აპირებს. გავრცელებული ხმებით, ოქტომბერში აფხაზეთში მორიგი გადატრიალება იგეგმება.

საზღვარზე გადასვლის პროცედურის გამარტივებაზე უარის გარდა, ზატულინს აფხაზი „ძმებისათვის“ არც სხვა საკითხებზე მიუცია უპირობო თანხმობა.

როცა მას მრავალშვილიანი დედებისათვის რუსეთში მოქმედი პროგრამა უხსენეს, ზატულინმა აღნიშნა, რომ ეს დაკავშირებულია ფინანსებთან, ასევე მოქალაქეობის საკითხთან.

მანვე გაიხსენა, რომ აფხაზეთში ბევრ ადამიანს ორმაგი, რუსულ-აფხაზური მოქალაქეობა აქვს, თუმცა აფხაზებისთვის სხვა წესებია შემოღებული.

რას შეეხება აფხაზებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გაადვილებას, ამას, როგორც ჩანს, დაბრკოლება არ შეხვდება. ამ მხრივ რუსეთი არც სხვებს დაჩაგრავს. ადრე ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ამ პროცედურის გამარტივებით კრემლი შეეცდება ამ კატეგორიის მოქალაქეების გამოყენებას თავისი მიზნებისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ამჟამად, რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სამხედრო კუთხითაც გააქტიურებულია. აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, ასევე მეზობელ სომხეთში, სულ 8 პოლიგონზე ტარდება მასშტაბური სამხედრო წვრთნები. ამ მანევრების დროს ცდიან ბრძოლის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სირიაში გამოიყენეს.

# შემოსავლების სამსახური: „კანონიერი უფლება გვაქვს, დავაყადაღოთ ტელეკომპანია „იბერია“

**ფინანსთა სამინისტრომ „ომეგა ჯგუფის“ დავალიანებასთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართა და კონკრეტული ფაქტები გაასაჯაროვა. კომერსანტი უცვლელად გთავაზობთ სამინისტროს პოზიციას:**



– „ომეგა ჯგუფმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური პირდაპირ დაადანაშაულო სიცრუის ტირაჟირებაში.

პრესკონფერენციაზე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა, ფინანსთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის სახელით, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ყველა ინფორმაცია, რომელიც გავრცელებულია ფინანსთა სამინისტროს სახელით და ეხება კომპანია ოჯთ-ს საგადასახადო დავალიანებას, სრული სიმართლეა და დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

2015 წელს, ოჯთ-იმ ბიუჯეტში გადაიხადა 35’203’170 ლარი, მაგრამ არ გადაუხდია 1.358.919 ლარი, რომელზე დარიცხულმა საურავმაც შეადგინა 134.371 ლარი.

საგადასახადო დავალიანება 2015 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1 486 696 ლარს.

2016 წელს, შპს ოჯთ-ის მიმართ რიცხულმა საურავმა შეადგინა 2.143.845 ლარი;

2016 წელს წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე კომპანიას დაერიცხა ძირითადი გადასახადი 20,880,470 ლარი, მაგრამ გადაიხადა მხოლოდ 2,099,350 ლარი, შესაბამისად გადაუხდელ თანხაზე დარიცხული საურავების გათვალისწინებით, 2016 წლის ბოლოსთვის აღიარებულმა საგადასახადო დავალიანებამ შეადგინა 21,679,836 ლარი.

დადეკლარირებული თანხების გადაუხდელობით ანალოგიურად გაიზარდა საგადასახადო დავალიანება 2017 წლის განმავლობაში, კერძოდ, დაადეკლარირა ანუ აღიარა 19,973,500 ლარი, მაგრამ გადაიხადა მხოლოდ 12,868,653 ლარი.

2017 წლის ბოლოსთვის, გადაუხდელ თანხაზე დარიცხული საურავების გათვალისწინებით, აღიარებულმა საგადასახადო დავალიანებამ შეადგინა 33,411,299 ლარი.

2018 წლის განმავლობაში დაადეკლარირა ანუ აღიარა 16,076,671 ლარი, ხოლო ბიუჯეტში გადაიხადა მხოლოდ 1,214,785 ლარი.

სულ, 2016 წლიდან დღემდე, ბიუჯეტში გადახდილია 16,182,788 ლარი. დღეის მდგომარეობით, კომპანიის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება შეადგენს 52,830,844 ლარს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე აღიარებული საგადასახადო დავალიანება ერიცხება ტელეკომპანია იბერიასაც, დავალიანება დღეის მდგომარეობით შეადგენს 86,811 ლარს. აქვე უნდა აღინიშნოს, დავალიანების შესაბამისად, გვაქვს კანონიერი უფლება, კომპანიის ანგარიშებზე წარვადგინოთ საინკასო დავალებები, ასევე გამოვიყენოთ ყადაღა, რაც დღემდე არ გაგვიკეთებია სწორედ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის დაცვის და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

ახლა იმ სიცრუის შესახებ, რომელიც ასე ხმამაღლა გაჟღერდა კომპანიის წარმომადგენლების მიერ:

2015 წლის 5 მარტიდან დღემდე, კომპანიის მიმართ 13-ჯერ შეჩერდა იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, მათ შორის 2-ჯერ გაფორმდა გადახდის გრაფიკი, რომელიც ორივეჯერ გაუქმდა გრაფიკით გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობის გამო, ხოლო 11-ჯერ, და არა 7-ჯერ, როგორც ამას კომპანიის წარმომადგენლების აცხადებენ, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, არ იქნა გამოყენებული იძულებითი გადახდევინების ღონისძიებები.

– ყველა წერილი ჩემს ხელთაა და მინდა წარმოგიდგინოთ აქვე, მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის მედიის წარმომადგენლებს, პირადად გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას. ეს არის 13 დოკუმენტი, მათ შორის, როგორც ჩვენ ვაცხადებდით – 11 გადავადების შესახებ და 2 წერილი გრაფიკის შედგენის თაობაზე.

რაც შეეხება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციას, ეს მექანიზმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ვადადამდგარი საგადასახადო დავალიანებისთვის, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას მიეცემა მუშაობის საშუალება, ხოლო კომპანია თავის მხრივ რესტრუქტურიზაციის მოთხოვნისას, მზადყოფნას გამოთქვამს იხადოს მიმდინარე ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე და ვადადამდგარი დავალიანება ეტაპობრივად შეამციროს რესტრუქტურიზაციის პირობების შესაბამისად.

ამ კონკრეტული სუბიექტის, ოჯითი-ს შემთხვევაში, გვაქვს სრულიად საპირისპირო სურათი, ვინაიდან კომპანიამ როდესაც მოითხოვა საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია, მისი საგადასახადო დავალიანება შეადგენდა 29.7 მლნ ლარს, საიდანაც 26,4 მლნ ლარი იყო ძირი თანხა ხოლო დანარჩენი – ჯარიმა-საურავები. მას ამ პერიოდში ფინანსთა სამინისტრომ რესტრუქტურიზაციის პროცედურების გარეშეც გაცილებით მარტივი და მოქნილი მექანიზმით (როგორც კომპანიისთვის ისე ჩვენთვის) მისცა მუშაობის საშუალება (მიუხედავად მათი მხრიდან პირობის არაერთგზის დარღვევისა) და შანსი ეჩვენებინა ჯანსაღი დინამიკა საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

თუმცა, კომპანიამ განაგრძო ახალი მიმდინარე საგადასახადო დავალიანების დაგროვება და გაზარდა იგი 52,830,844 მილიონამდე, მათ შორის ძირი თანხა 26,4 მილიონიდან გაზარდა 40 მილიონამდე.

შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ გამოიყენა მის ხელთ არსებული ბერკეტები კომპანიის მიერ საგადასახადო დავალიანების პროცესის აღსაკვეთად, – აღნიშნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა.

# ირაკლი ასლანიშვილი „ომეგა ჯგუფის“ სკანდალზე: „ქვეყანაში ბიზნესის თავისუფლების ხარისხი ძალიან მაღალია“



– ბიზნეს ასოციაციის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ ბიზნესის თავისუფლების ხარისხი ძალიან მაღალია, ჩვენ ამაზე კვლევაც ჩავატარეთ. ასოციაციის წევრ ბიზნესმენებს მსგავსი ფაქტები არ გაუჟღერებიათ, – განაცხადა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ასლანიშვილმა.

ასლანიშვილი „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე კომენტირებისას აცხადებს, რომ მისი პასუხისმგებლობის მანდატი ამ თემაზე კომენტარის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. „ჩემი პასუხისმგებლობის მანდატი საჯარო შეფასების უფლებას არ იძლევა. უმჯობესია ეს კითხვები შესაბამის პასუხისმგებელ პირებს დაუსვათ. ზოგადად ჭეშმარიტება დადგინდება, რადგან აქ ყველა შესაბამისი უწყებაა ჩართული“ – აღნიშნა ასლანიშვილმა.

„ბიზნეს ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური გარემოს შეფასებისას და კორუფციაზე საუბრისას განმარტავს, რომ „ზოგადი ეკონომიკური და ბიზნეს გარემოს მიხედვით ერთ-ერთი ლიდერი სწორედ საქართველოა.

– კორუფციის ფაქტებზე ვერ გეტყვით, ხშირად ისეთი საკითხების სხვა ჭრილში გადატანა ხდება, რაც ბიუროკრატიასთან და მსგავსი სახის შეფასებებთანაა დაკავშირებული. ასოციაციის ჭრილში მსგავსი საკითხების დაფიქსირება ჩვენთან არ მომხდარა, – განმარტა ასლანიშვილმა.

# სებ: „კომერციული ბანკიდან გაცემული თანხა „თიბისი ბანკს“ ჩვენგან არ მიუღია“




ეროვნული ბანკი „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებებს ეხმაურება. „კომერსანტი“ ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

– გვსურს, გამოვეხმაუროთ ბოლო დღეებში მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას „თიბისი ბანკიდან“ უცხოურ ვალუტაში გატანილი თანხის შესახებ. ვაცხადებთ, რომ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კომერციული ბანკიდან გაცემული თანხა „თიბისი ბანკმა“ ეროვნული ბანკისგან მიიღო, სიმართლეს არ შეესაბამება. „თიბისი ბანკიდან“ თანხის გატანის პერიოდში კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის საცავიდან უცხოური ვალუტის ინკასირება არ განუხორციელებია.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ ოპერაციების განხორციელების პროცესში კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან დაიცვან „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პროცედურები და მოთხოვნები.

აქვე გვსურს განვმარტოთ, რომ ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში მიღებული მასალები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და, შესაბამისად, ეროვნული ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას საჯაროდ ისაუბროს ტრანზაქციის დეტალებთან ან/და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველთვის მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, – ნათქვამია განცხადებაში.

# თემურ ბასილია: „ეროვნული ბანკის ვალდებულებაა დაადგინოს, ზაზა ოქუაშვილის საქმეში ადგილი ჰქონდა თუ არა ფულის გათეთრებას“



– ეროვნულ ბანკს შეუძლია და ვალდებულიცაა ზაზა ოქუაშვილის საქმესთან დაკავშირებით მოკვლევა ჩაატაროს, მას ამის სრული უფლება აქვს, – ასე ეხმაურება ეკონომისტი თემურ ბასილია ბოლო დღეების განმავლობაში ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის საქმესთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს. როგორც ბასილია განმარტავს, სწორედ მარეგულირებელი ორგანოს შემადგენლობაშია საბანკო ზედამხედველობის სამსახური, ასევე, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურიც.

– სწორედ, ამ სამსახურს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას ყველა ბანკი, ვინც, თუ არ ვცდები, 10.000 დოლარზე მეტ ნებისმიერ ტრანზაქციას ახორციელებს. სწორედ ამ ორგანოს ვალდებულებაა დაადგინოს, ადგილი ჰქონდა თუ არა ფულის გათეთრებას. გააკეთა კი ეროვნული ბანკის ამ ქვედანაყოფმა ასეთი მოკვლევა? თუ გააკეთა, რა დაადგინა? ეს არის კითხვები, რომელზეც ეროვნულმა ბანკმა უნდა უპასუხოს, მაგრამ როგორც ჩემთვის ცნობილია, მათ ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებიათ, – აცხადებს ბასილია.

მისი განცხადებით, ჩვენ ისიც არ ვიცით, დაირღვა თუ არა კანონი, რადგან ოქუაშვილის ბრალდებებს თიბისი ბანკი უარყოფს. ბასილიას შეფასებით, ალბათ, საგამოძიებო ორგანომ უნდა ჩაატაროს მოკვლევა, რომლითაც გაირკვევა, რა მოხდა სინამდვილეში.

– ამ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან ცხადია, რომ ერთ-ერთი მათგანი არ ამბობს სიმართლეს. ამის გარკვევა კი, საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, – განმარტავს ბასილია.

კითხვაზე, ოქუაშვილის საქმე ხომ არ დააზარალებს როგორც ქვეყნის იმიჯს, ისე საფინანსო ინსტიტუტების, ამ შემთხვევაში, თიბისი ბანკის, ბასილია აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ საერთაშორისო ინვესტორებისთვის, პირველ რიგში ქვეყნისთვის არ არის კარგი.

– ამიტომაც არის აუცილებელი, რომ დროულად ჩატარდეს მოკვლევა, გაირკვეს, რა მოხდა სინამდვილეში და თუ რაიმე გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ან მეორე მხრიდან ცილისწამება იყო, პასუხი მოეთხოვოთ კანონის შესაბამისად, – აცხადებს ბასილია.

# მამუკა ბახტაძე: „ჩვენი მთავარი ეკონომიკური გამოწვევა არის სიღარიბე“



– საქართველოში მთავარი ეკონომიკური გამოწვევა რაც გვაქვს, არის სიღარიბე და ჩვენ მას ვერ დავამარცხებთ, თუ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი არ გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბიზნესასოციაციის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, უახლოეს მომავალში, პრინციპული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მიმართულებით.

– კიდევ ერთხელ მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ აქ ჩვენ ძალიან პრინციპულ ნაბიჯებს გადავდგამთ. ნაწილი უკვე დაანონსებულია და საკმაოდ პრინციპული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული უახლოეს მომავალში, რომ კიდევ უფრო წავახალისოთ მცირე და საშუალო ბიზნესი, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა რეფორმის შეფასებისას მთავრობის ეკონომიკური გუნდის ორიენტირებზე და აღნიშნა, რომ მთავრობის სურვილია, საქართველომ მიიღოს საინვესტიციო რეიტინგი შემდეგი წლების განმავლობაში.

– ჩვენი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს აქვს კონკრეტული ორიენტირი თითოეული რეფორმის შეფასებისას. ჩვენ გვსურს, რომ საქართველომ მიიღოს საინვესტიციო რეიტინგი შემდეგი წლების განმავლობაში. თუ ჩვენ MOODY-ს ავიღებთ ორიენტირად, ჩვენ დაგვრჩა ორი ნოჩი იმისთვის, რომ მივიღოთ საინვესტიციო რეიტინგი. აქედან გამომდინარე, თითოეული რეფორმა ფასდება სწორედ ამ კრიტერიუმით, რამდენად დაგვეხმარება ჩვენ ეს, მივიღოთ საინვესტიციო რეიტინგი. რატომ ავირჩიეთ ეს მიდგომა, ამაზეც განვმარტავ, რომ როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკის განვითარებაზე, ბევრი მოსაზრება არსებობს და ყველა ქვეყანაში ეს დისკუსიის საგანია, მაგრამ ჩვენ გვსურდა, გვქონოდა კონკრეტული ორიენტირი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გვქონოდა კონკრეტული დიალოგი როგორც ბიზნესთან, ისე საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, საექსპერტო საზოგადოებასთან, თუ რატომ ვუნთებთ მწვანე შუქს კონკრეტულ რეფორმას ან რატომ არ ვაკეთებთ რომელიმე კონკრეტული გადაწყვეტილების იმპლემენტაციას. სწორედ ამ მიზნით შეირჩა ეს კრიტერიუმი, მინდა ღიად იცოდეთ ამის შესახებ და, შესაბამისად, ჩვენ თითოეულ რეფორმას, მათ შორის იმ ბიზნეს ინიციატივებს, რომლებსაც მოვისმენთ ბიზნეს საზოგადოებიდან, სწორედ ამ კრიტერიუმით შევაფასებთ, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს ეკონომიკა უნდა განვითარდეს კერძო სექტორის მეშვეობით და მთავრობა მზად არის ის მნიშვნელოვანი წარმატებები, რომელიც მიღწეულია ეკონომიკური გარემოს შექმნის თვალსაზრისით, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

BM.GE

# ლევან ყიფიანი: „ფარული ჩანაწერების გაკეთება ზაზა ოქუაშვილმა დამავალა... ფარცხალაძესთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს... სარდაფში არაფერი არ მომხდარა“

„ომეგა ჯგუფის“ საქმეში გარეულმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, ლევან ყიფიანმა მოსამართლის თანდასწრებით დაკითხვის შემდეგ სკანდალური განცხადება გააკეთა და „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელი ზაზა ოქუაშვილი მაკომპრომეტირებელი ჩანაწერების გაკეთებაში დაადანაშაულა.

– მინდა ბოდიში მოვუხადო საზოგადოებას და ჩემს ოჯახს იმ ვითარების გამო, რაც შეიქმნა ჩემს გარშემო.

მე ამ კომპანიაში ვმუშაობდი 2015 წლიდან. ჩემი მოვალეობა იყო, დამემყარებინა კონტაქტი ხელისუფლებასთან. ჩვენ ერთობლივი გეგმა გაგვაჩნდა, ზაზა ოქუაშვილმა ერთ-ერთი ბოლო შეხვედრისას მითხრა, რომ რადგან მისი ბიზნესი წნეხს განიცდის უცხოელი პარტნიორებისგან და საქართველოში ბიუჯეტთან დაკავშირებით, მან დახატა სცენარი, რომ ჩაგვეწერა მაკომპრომეტირებელი მასალა შიდა მოხმარებისთვის, რითიც ის დაარწმუნებდა უცხოელ პარტნიორებს, რომ ხელისუფლება მასზე წნეხს ახორციელებდა და იმ ვალდებულებებისგან გაათავისუფლებდა, რაც მათთან ჰქონდა.

მან მითხრა, რომ მივიღებდი დავალიანებას, რომელიც ჩემ მიმართ ჰქონდა, თუ ხელს შევუწყობდი ამ ჩანაწერების გაკეთებაში.

ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აღნიშნული მასალა წავიდოდა უცხოეთში, უცხოელების დასარწმუნებლად.

ეს არ ვიცი, ჩემი მხრიდან იყო მიამიტობის თუ დახმარების სურვილი, მე გადავწყვიტე ამ თამაშის წესების მიღება და განვახორციელეთ. მთელი უბედურება ისაა, რომ ის თურმე ამ ჩანაწერებს აკეთებს დიდი ხნის განმავლობაში და ის ჩანაწერები, რომლებიც ერთად გავაკეთეთ, ისიც დამონტაჟებულია, – განაცხადა ლევან ყიფიანმა.

ყიფიანმა ფარცხალაძის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეწოლა არ დაადასტურა და გავრცელებულ ინფორმაციას შეურაცხმყოფელი სიცრუე უწოდა.




– ეს არის შეურაცხმყოფელი, ასეთი რამე არ ყოფილა, ფარცხალაძესთან მაქვს ნორმალური ურთიერთობა, – აღნიშნა ყიფიანმა.

ყიფიანის განცხადებით, მისთვის ასევე უცნობია, თიბისი ბანკიდან გამოტანილი დიდი ოდენობით თანხის საბოლოო დანიშნულების ადგილი.

ლევან ყიფიანი ზაზა ოქუაშვილს უჩივლებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ლევან ყიფიანის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, სამოქალაქო სარჩელის გარდა, ისინი გეგმავენ, რომ პროკურატურას ოქუაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსთხოვონ.

– უახლოეს დღეებში ვაპირებთ, რომ ვუჩივლოთ ზაზა ოქუაშვილს. თავდაპირველად შევიტანთ სამოქალაქო სარჩელს პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაზე და შემდგომ უკვე მოვითხოვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ოქუაშვილის წინააღმდეგ, კონკრეტულად რა მუხლებით უნდა აღიძრას საქმე, ამაზე პროკურატურაში განცხადების ჩაბარების შემდგომ ვისაუბრებთ, – განმარტა შალვა ხაჭაპურიძემ.

## „სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე და დირექტორი თორნიკე ჯანელიძე დააკავეს

### გამოძიება მათ 3 მილიონ ლარზე მეტის მითვისებას ედავება



გუშინ, 3 ოქტომბერს, დააკავეს „სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე და კომპანიის დირექტორი თორნიკე ჯანელიძე.

„ქრონიკა პლუსის“ რედაქტორმა, ჟურნალისტმა ელისო კილაძემ ამის შესახებ ფეისბუქში ასეთი რამ დაწერა:

„სვეტის“ დამფუძნებელი გივი ჯიბლაძე დაკავებულია! იმედია, გამოძიებასთან ითანამშრომლებს და ყველა იმ პირს დაასახელებს, სუსის მაღალჩინოსნების ჩათვლით, რომელიც „ქრონიკა+“-ში გუშინ გამოქვეყნებულ წერილშია ნახსენები!“

გივი ჯიბლაძის დაკავებას წინ უძღოდა ელისო კილაძის მიერ გამოქვეყნებული სკანდალური ხელნაწერი, სადაც გივი ჯიბლაძე ყვება, ვის რას უხდიდა და ვის რა წილი ჰქონდა „სვეტში“.

მოგვიანებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გივი ჯიბლაძის და თორნიკე ჯანელიძის დაკავებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით) ჩადენისათვის სამშენებლო კომპანია „სვეტის“ ხელმძღვანელი პირები გ.ჯ. და თ. ჯ. დააკავეს.

მოგახსენებთ, რომ დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მენაშენეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე, 2018 წლის 29 მაისს, გამოძიება დაიწყო აღნიშნული კომპანიის მიერ მშენებარე საცხოვრებელი ბინების შესაძენად მოქალაქეთა მიერ გადახდილი დიდი ოდენობით თანხების მითვისების ფაქტზე.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბრალდებულებმა გ.ჯ.-მ და თ.ჯ.-მ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განიზრახეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებოდნენ მოქალაქეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს.

სწორედ ამ მიზნით, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ მიერ 2016 წლის დასაწყისში დაანონსდა მასშტაბური ბინათმშენებლობის პროექტების დაწყება ისე, რომ კომპანიას მშენებლობის შესაბამისი ნებართვები არ ჰქონდა მიღებული. დიდი ოდენობით თანხის მოსაზიდად, ჩატარდა აქტიური სარეკლამო კამპანიაც, მათ შორის სოციალური ქსელების გამოყენებით, რითაც მოხდა ბინის შეძენით დაინტერესებული როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების მოზიდვა.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ ობიექტზე, ბრალდებულები გ.ჯ. და თ.ჯ. მოტყუებით დაეუფლნენ მენაშენეთა კუთვნილ თანხას 3.356.385 ლარის ოდენობით.

გამოძიების პროცესში 5.000-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა. მათ შორის ქვეყნის მასშტაბით გამოიკითხა 2.000-ზე მეტი მენაშენე და საქმესთან შემხებლობაში მყოფი პირი. ამოღებულია დეველოპერულ კომპანია „სვეტთან“ კავშირში მყოფი ორგანიზაციების: შპს „სვეტი დეველოპმენტის“, შპს „სვეტის“, შპს „სვეტი ჯგუფის“, შპს „სვეტი ნუცუბიძის“ და შპს „ვანკონსტრაქშენის“ საბუღალტრო და იურიდიული დოკუმენტაცია, რომლებზეც დაინიშნა თემატური შემოწმება და რევიზია.

პარალელურად, კომპანიების მიერ ქალაქ თბილისში (მირცხულავას ქუჩა N9/11, ჭყონდიდელის ქუჩა N22, ნუცუბიძის ქუჩა N125, წერეთლის გამზ. N27) და ქალაქ ბათუმში (თამარ მეფის ქუჩა N1) მშენებარე ობიექტებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით, დაინიშნა და ამჟამადაც მიმდინარეობს საინჟინრო – ტექნიკური ექსპერტიზები.

ამ ეტაპზე, აქტიურად გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ზემოხსენებული კომპანიების მიერ საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის პროცესში ჩადენილი ყველა შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების და დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენის მიზნით.

შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, დეველოპერული კომპანია „სვეტის“ ყველა მენაშენე, რომელსაც კომპანიის ხელმძღვანელების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიადგათ მატერიალური ზიანი, ცნობილ იქნებიან დაზარალებულებად“.

## ზაზა ოქუაშვილი: „ირაკლი კობახიძის განცხადებები პირდაპირი მითითებაა ჩემ დასაპატიმრებლად“

### ომეგას დამფუძნებელი საქართველოში არ ჩამოვა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ომეგა ჯგუფის დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი 4 ოქტომბერს პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარა.




ზაზა ოქუაშვილი საგამოძიებო უწყების მოთხოვნას საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა.

მასში ნათქვამია: „არსებობს აშკარა საფრთხე იმისა, რომ ჩემი საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში გამოძიება წარიმართება არაობიექტურად და მიკერძოებულად და მოკლებული ვიქნები შესაძლებლობას, სრულყოფილად დავიცვა ჩემი ინტერესები. ქვეყნის არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც უშუალოდ იქცა „ომეგა ჯგუფის“ წინააღმდეგ მიმართული რეკეტის ორგანიზატორად, სრულად აკონტროლებს სახელმწიფო ინსტიტუტებს როგორც ხელისუფლებაში ფორმალურად მყოფი, ისე არაფორმალური ძალაუფლების მქონე პირების მეშვეობით, რომლებიც საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებენ. საფრთხეს ასევე რეალურს ხდის ხელისუფლების მოქმედი ფორმალური თანამდებობის მქონე პირების უშუალო შემხებლობა და დაინტერესება საქმით.

„პარლამენტის თავმჯდომარის მიერ უკანასკნელ დღეებში გაკეთებული განცხადებები კი არა მხოლოდ უხეშად ლახავს ჩემი უდანაშაულობის პრეზუმფციას, არამედ წარმოადგენს პირდაპირ მითითებას ჩემს დასაპატიმრებლად.“

## პაატა ბურჭულაძის ცოლი პროკურატურაში არ მიდის და სასამართლოში გამოკითხვას ითხოვს

მთავარმა პროკურატურამ ფონდ „იავნანას“ ყოფილი პრეზიდენტის, პაატა ბურჭულაძის მეუღლის გამოკითხვის შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებიდან აცნობეს, ბურჭულაძის მეუღლემ პროკურატურაში ჩვენების მიცემაზე უარი გუშინ, 3 ოქტომბერს, საგამოძიებო ორგანოდან უწყების მიღებისას განაცხადა და სასამართლოში გამოკითხვა მოითხოვა.

„ფონდ „იავნანას“ ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე მთავარ პროკურატურაში 17:00 საათზე უნდა გამოცხადებულიყო.

საქმე ეხება საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ ა(ა)იპ „უდედმამო და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდ იავნანა“-ს დიდი ოდენობით თანხის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შესაძლო მითვისება-გაფლანგვის ფაქტებს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოწმის სახით გამოკითხვის მიზნით, პაატა ბურჭულაძის მეუღლე მთავარ პროკურატურაში 2018 წლის 1 მარტსაც დაიბარეს, თუმცა მაშინ იგი საგამოძიებო ორგანოში არ გამოცხადდა და ამის მიზეზად მისი საზღვარგარეთ ყოფნა დასახელდა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**ნათელა სამუშია:** თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## თბილისში მოზარდს მანქანა დაეჯახა

### მისი მდგომარეობა მძიმეა

თბილისში, მოსკოვის გამზირზე ავტომობილი მოსწავლეს დაეჯახა. მოზარდის მდგომარეობა მძიმეა. მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს. მუხლი თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ითვალისწინებს.

## ხაშურის სასამართლოდან პატიმარმა გაქცევა სცადა

პატიმარმა ხაშურის სასამართლოდან გაქცევა სცადა. ინფორმაციას სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ადასტურებენ. მათივე ცნობით, პატიმარმა საპირფარეშოში გასვლა ითხოვა, სადაც ბადრაგს იარაღის წართმევა დაუპირა.

– პატიმარს ჰქონდა გაქცევის მცდელობა. მეორე ბადრაგის დახმარებით, ეს მცდელობა აღიკვეთა და ინციდენტი დასრულდა, – განაცხადეს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში.

# რა წერია სკრიპალების შესახებ წიგნში, რომელიც ბიბისის ჟურნალისტმა დაწერა

ბიბისის ჟურნალისტ მარკ ურბანის ახალ წიგნში გრუს ყოფილი აგენტის, პოლკოვნიკ სერგეი სკრიპალის შესახებ, სოლსბერიში ნოვიჩოკით მოწამვლამდე და მოწამვლის შემდეგ ცხოვრების აქამდე უცნობ დეტალებზე წერია.




წიგნის თანახმად, ასევე არსებობდა სხვა გადაბირებული რუსი აგენტების ლიკვიდაციის გეგმებიც.

მარკ ურბანი ყოფილ ორმაგ აგენტთან შეხვედრისა და მისი ცხოვრებისეული შეხედულებების შესახებ საუბრობს.

ურბანის თქმით, თავად მას სერგეი სკრიპალთან 2017 წლის აგვისტოს შემდეგ პირადად აღარ უსაუბრია. ჟურნალისტი აქვე აზუსტებს ერთ დეტალს:

– ყველას ჰგონია, რომ მოწამვლის შემდეგ, სკრიპალები თითქოს იზოლირებულად, როგორც საკანში, ისე ცხოვრობენ. ეს ასე არ არის! ისინი უკავშირდებიან ადამიანებს სოციალური ქსელებით, ელექტრონული ფოსტით. ზოგი მათგანი ესტუმრა კიდეც სკრიპალებს.

ჟურნალისტი დასძენს, რომ ივნისში იულია სკრიპალთან მეგობარი ჩავიდა რუსეთიდან:

– ასე რომ, სკრიპალები მეგობრებს ხვდებიან, მათ უბრალოდ ჩვენი, ჟურნალისტების, ნახვა არ სურთ.

ურბანი ინტერვიუში ამბობს, რომ სერგეი სკრიპალს ძალიან უყვარდა რუსული საზოგადოებრივი არხის ყურება, რადგან „გულის სიღრმეში თავს გამყიდველად არ თვლის. თავის შეხედულებებში ის რუსეთის ერთგული დარჩა“.

წიგნში ყირიმის ანექსიის შესახებ სერგეი სკრიპალის მოსაზრებებიც წერია. როგორც ურბანი ამბობს, სკრიპალს მიაჩნია, რომ რუსეთის გარეშე უკრაინელები მართვას ვერ შეძლებენ, რომ ამისთვის უკრაინას აუცილებლად სჭირდება გვერდით რუსეთის დგომა.

მარკ ურბანის თქმით, სერგეი სკრიპალი ორმაგ აგენტობას როგორც ბიზნესს, ისე უყურებდა.

– მე მომეჩვენა, რომ სერგეი სკრიპალი დაზვერვის საქმიანობას როგორც ბიზნესს, ისე უყურებდა. როდესაც მან დიდი ბრიტანეთისთვის ინფორმაციის გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო, მიხვდა, რომ ის გარკვეულ ბიზნესში შედიოდა, – ამბობს წიგნის ავტორი.

მარკ ურბანის თქმით, სკრიპალი თავისი ეპოქის ტიპური სამხედრო ადამიანია.

– ადამიანი, რომელმაც გაიარა მძიმე საწვრთნელი მომზადება საჰაერო სადესანტო ძალებში, ცენტრალურ აზიასა და გრუში მსახურობის დროს. სერგეი მკაცრი ადამიანია. მას აქვს გარკვეული ფიზიკური დისციპლინა, ის მოკრივე იყო. მას აქვს ძალა – ფიზიკური და ინტელექტუალური. ის ძალიან ამაყობს იმით, რაც გააკეთა, როგორც ჯარის კარიერით, ასევე ბრიტანეთისთვის მსახურებით. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დათანხმდა ჩემთან ინტერვიუს, იყო ის, რომ ამ თემებზე ესაუბრა, – ამბობს მარკ ურბანი.

5 სექტემბერს დიდი ბრიტანეთის პროკურატურამ და სკოტლენდ იარდმა სერგეი სკრიპალისა და მისი შვილის მოწამვლაში ეჭვმიტანილების ვინაობა დაასახელა. ესენი არიან რუსლან ბოშიროვი და ალექსანდრ პეტროვი. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ისინი რუსეთის სამხედრო დაზვერვაში მუშაობენ. ასევე სკრიპალების მოწამვლაში ეჭვმიტანილი მესამე პირის ვინაობაც დაადგინეს. მოგვიანებით ბოშიროვის შესახებ დეტალები გახდა ცნობილი. გამოძიების თანახმად, მას ანატოლი ჩეპიგა ჰქვია.

კრემლში კი აცხადებენ, რომ სკრიპალების მოწამვლაში ეჭვმიტანილზე არაფერი იციან.

რუსეთის დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი იულია დიდ ბრიტანეთში, სოლსბერიში ნერვული აგენტი „ნოვიჩოკით“ მოწამლეს. სკრიპალები სიკვდილს გადაურჩნენ, თუმცა, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩებიან. სკრიპალების მოწამვლას თანამედროვე პოლიტიკის ისტორიაში ყველაზე დიდი დიპლომატიური დაპირისპირება მოჰყვა.



# მაიკ პომპეო ჩრდილოეთ კორეას ეწვევა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩრდილოეთ კორეას ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები კიმ ჩენ ინთან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა დენუკლეარიზაციის პროცესის გაგრძელება იქნება.

პომპეო იაპონიასა და ჩინეთსაც მოინახულებს.

# ლეონიდ კუჩმა მინსკის საკონტაქტო ჯგუფიდან გავიდა



უკრაინის ექს-პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მინსკის საკონტაქტო ჯგუფიდან გავიდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა უაზრობაა.

– დონბასელი სეპარატისტები პრაქტიკულად არაფერს წყვეტენ. მათთან საუბარი წყლის ნაყვაა, – თქვა კუჩმამ.

ეუთო-ს წარმომადგენელმა დონბასში მარტინ საიდიკმა კუჩმას მადლობა გადაუხადა.

– თქვენი წვლილი მშვიდობის აღდგენის საქმეში უდიდესია, – ამბობს საიდიკი.

# მიჩიგანის შტატში ავტომობილი დემონსტრანტებს დაეჯახა




8 ადამიანი დაშავდა მიჩიგანის შტატის ქალაქ ფლინტში დემონსტრანტების კოლონაში პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილის შეჭრის შედეგად.

ქალაქში სწრაფი კვების ობიექტების თანამშრომლების აქციები მიმდინარეობდა, ისინი ხელფასის გაზრდას ითხოვდნენ. სწორედ დემონსტრანტების ამ ჯგუფს დაეჯახა ავტომობილი.

აქციაზე იმყოფებოდა ქალაქის მერიც, რომელიც გუბერნატორის არჩევნებში იღებს მონაწილეობას.

რვავე დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიცია დეტალებს არკვევს, თუმცა ერთ-ერთი ვერსიით, ავარია შემთხვევით მოხდა და მძღოლს წინასწარი განზრახვა არ ჰქონია.

# გენერალი მუჟენკო: „მარიუპოლში უკრაინის სამხედრო-საზღვაო ბაზა აშენდება!“



უკრაინის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა გენერალმა მუჟენკომ განაცხადა, რომ უკრაინამ აზოვის ზღვის გარშემო დავაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

– იმის საშიშროება, რომ რუსეთი აქ ყირიმულ სცენარს გაიმეორებს, არ არსებობს, – ამბობს მუჟენკო.

გენერალმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა.

– მარიუპოლში უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა აშენდება! ეს საუკეთესო საშუალებაა საიმისოდ, რომ რუსეთს მადა შეუმცირდეს და აზოვის ზღვის დათრევა არ სცადოს, – ამბობს მუჟენკო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მალაიზიის ყოფილი პრემიერის მეუღლე დააკავეს



მალაიზიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ნაჯიბ რაზაკის მეუღლე, როსმა მანსორი, მალაიზიის ანტიკორუფციულმა სამსახურმა დააკავა.

„მას რამდენიმე დანაშაულისთვის წაუყენებენ ბრალს“, – წერია სამსახურის ოფიციალურ განცხადებაში. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ბრალდებებს შორისაა ფულის გათეთრებაც.

66 წლის მანსონი გადაიყვანეს მალაიზიის ანტიკორუფციული კომისიის შტაბბინაში, სადაც ის სამჯერ დაკითხეს.

3 ივლისს ქურდობისა და ფულის გათეთრების ბრალდებით, მალაიზიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ნაჯიბ რაზაკი დააკავეს.

რაზაკის დაკავებამდე, მალაიზიის ანტიკორუფციულმა სააგენტომ, ყოფილი პრემიერ-მინისტრის გერი და ჰოლივუდის პროდიუსერი, რიზა აზიზი დაკითხა.

მალაიზიის განვითარების ფონდის ირგვლივ აგორებულმა სკანდალმა, მაისის არჩევნებში რაზაკის კოალიციის დამარცხება განაპირობა. გავრცელებული ინფორმაციით, რიზა აზიზის კომპანიამ მალაიზიური ფონდიდან მოპარული ფული ჰოლივუდის ფილმების დასაფინანსებლად გამოიყენა.

## კალეიდოსკოპი



### კანადელმა შეცდომით უცნობი პიროვნება მიიწვია დეიდის სულის მოსახსენიებელ წვეულებაზე

კანადის ქალაქ ნიაგარა-ფოლსის მცხოვრებმა ქალბატონმა არასწორად აკრიფა ტელეფონის ნომერი და ნათესავის მაგივრად შეტყობინება უცნობ გოგონას გაუგზავნა.

დანა ბერკმა, როგორც თავად ფიქრობდა, თავისი ნათესავი კვენტინი მათი დეიდის სელარის სულის მოსახსენიებელ ღონისძიებაზე „სიცოცხლის ზეიმი გარდაცვალების შემდეგ“ მიიწვია. ამ დღეს, როგორც წესი გარდაცვლილის ნათესავები და ნაცნობები თავს ერთად იყრიან, სადილობენ, მის ფოტოსურათებს ათვალიერებენ და გარდაცვლილს იხსენებენ.

კანადელმა მთელი ეს ინფორმაცია სმს-ით გააგზავნა, თუმცა ის კვენტინის მაგივრად სტუდენტმა გოგონამ ლინა ალიმ მიიღო. ამ გზავნილზე გოგონამ უპასუხა, რომ მართალია ბერკს ნომერი შეეშალა, მაგრამ მას შეეძლო მისულიყო და მათთან ერთად მიეგო პატივი გარდაცვლილისთვის. ადრე ის ასეთ ღონისძიებაზე არასოდეს ყოფილა და მისთვის საინტერესო იყო მასზე დასწრება. ბერკი მის წინადადებას მაშინვე დათანხმდა.

ალი ბერკის სახლიდან სულ 30 წუთის სავალზე ცხოვრობდა. ღონისძიებაზე მისულმა გოგონამ გარდაცვლილი მრავალრიცხოვანი ნათესავები გაიცნო და ბერკს დაუმეგობრდა კიდეც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# განცხადებები

## სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბაიერნისა და რეალის კრიზისი გრძელდება, სიტი ბოლოში იგებს



**ე ჯგუფი**

**ბაიერნი-აიაქსი 1:1**

**ბაიენი. ალიანც არენა**

1:0 ჰუმელსი (4), 1:1 მაზრაუი (22)

**ბაიერნი:** ნოიერი, კიმიხი, ბოატენგი, ჰუმელსი (ზულე 90), ალაბა, მიულერი, ხავი მარტინესი, ალკანტარა, რობენი (ხამესი 62), ლევანდოვსკი, რიბერი (გნაბრი 75)

**აიაქსი:** ონანა, მაზრაუი, დე ლიხტი, ვიობერი, ტალიაფიკო, ვან დე ბეეკი (დე ვიტი 75), შონე, ბლინდი, ზიეჩი, ტადიჩი, ნერესი (დოლბერგი 85)

ძალიან ცუდად გამოიყურება ბავარიული გუნდი ამ სეზონში. თითქოს ყველა ფეხბურთელი ავად არის... არადა, თამაში კარგად დაიწყეს და მათს ჰუმელსმა სწრაფი გოლიც გაიფორმა. შემდეგ კი ლიდერები ჩაიკარგნენ. რობენი საერთოდ არ ჩანდა მოედანზე, ლევანდოვსკის საგოლე ალღო გაუქრა, რიბერიმაც ერთხელ გაიბრწყინა, დანარჩენები სად იყვნენ, არავინ იცის...

ერთადერთი ნოიერი იყო, რომელიც გუნდის 3 ქულისთვის იბრძოდა, მაგრამ მაზრაუის დარტყმის შემდეგ ისიც უძლური გახდა.

ჰოლანდიელებმა კი აჩვენეს, რომ მათ სხვის მოედანზეც შეუძლიათ თამაში და დამსახურებული შედეგით დაბრუნდნენ ამსტერდამში.

**აეკ-ბენფიკა 2:3**

**ათენი. ოლიმპიაკო**

0:1 სეფეროვიჩი (6), 0:2 გრიმალდო (15), 1:2, 2:2 კნოლარიდისი (53, 64), 2:3 სემედო (74)

**გაძევება:** დიასი (45)

ცხელი დღე გამოდგა ათენში. ყველაფერი დუღდა – მოედანი, ტრიბუნა, ტაბლო... გამოცდილებით ბენფიკა უკეთესი ჩანდა და მოიგო კიდეც. ამასთან, 10 ფეხბურთელით.

სანამ მოედანზე თანაფარდობა იყო, მანამდე პორტუგალიელები 2 ბურთით დაწინაურდნენ. შემდეგ დიასი გააგდეს და სადავეები უკვე მასპინძლებმა იგდეს ხელთ და ანგარიშიც გაათანაბრეს. თუმცა, სემედომ მათ გულშემატკივრებს გახარება არ აცადა და ბენფიკა შინ 3 ქულით გაბრუნდა.

**ფ ჯგუფი**

**ჰოფენჰაიმი-სიტი 1:2**

1:0 ბელფოდილი (1), 1:1 აგუერო (8), 1:2 დ.სილვა (87)

**ჰოფენჰაიმი:** ბაუმანი, აკპოგუმა, ჰოოგმა, პოში, ბრენეტი, დემირბაი, გრილიჩი (ბიტენკური 82), კადერაბეკი, ჯოელინტონი, ზალაი (კრამარიჩი 54), ბელფოდილი

**სიტი:** ედერსონი, უოკერი, კომპანი, ოტამენდი (სტოუნსი 64), ლაპორტი, დ.სილვა, ფერნანდინიო, გიუნდოგანი (ბ.სილვა 68), სტერლინგი (მარეზი 75), აგუერო, ზანე

სიტის ცოტა დააკლდა ლიგაზე მეორე სენსაციური მარცხი დაეფიქსირებინა. ქალაქელები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკვე პირველივე წუთზე ჩამორჩნენ. მართალია, აგუერომ მალევე გაათანაბრა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებამდე სიტი 3 ქულის ამღებს არ ჰგავდა.

80 წუთის მანძილზე ცდილობდნენ პეპ გვარდიოლას შეგირდები წინ გასვლას და დავიდ სილვას ზუსტი დარტყმის შემდეგ ეს მოახერხა. დრო იმდენად ცოტა იყო დარჩენილი, რომ ჰოფენჰაიმმა ვერაფერი შეცვალა.

**ლიონი-შახტარი 2:2**

**ლიონი. გრუაპამა**

0:1, 0:2 მორაეში (45, 55), 1:2 დემბელე (71), დუბოისი (72)

ლიონში გამართული შეხვედრა რამდენიმე ნაწილად შეიძლება დავყოთ. ცხადია, ამ ყველაფერს აფუჭებდა უმაყურებლობა (დისკვალიფიკაციის გამო). ალბათ ამიტომაც იყო, რომ მასპინძლებს საათზე მეტი მოუნდათ „გასახურებლად".

პირველ ტაიმში ლიონმა საერთოდ ვერაფერი გვიჩვენა, შახტარი კი მწვავედ უტევდა და ნაყოფი ტაიმის ბოლო წუთზე გამოიღო, როდესაც მორაეშმა გაიტანა.

მორაეშმა მე-2 ტაიმში დუბლიც შეასრულა და მასპინძლები რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. თუმცა, მეორე გაშვებულმა გოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა და შედეგმაც არ დააყოვნა – დემბელემ და დუბოისმა 2 წუთში 2 გოლი გაიტანეს და ფრესაც გამოკრეს ხელი.

საოცარ ფეხბურთს თამაშობს ლიონი, ჩავარდნებით, მაგრამ 2 ტურში 4 ქულას მაინც მოუყარა თავი.

**ჯ ჯგუფი**

**ცსკა-რეალი 1:0**

**მოსკოვი. ლუჟნიკი**

1:0 ვლაშიჩი (2)

**ცსკა:** აკინფეევი, ფერნანდესი, ჩერნოვი, ბეკაო, ნაბაბკინი, ბიიოლი, ახმეტოვი, ვლაშიჩი, ძაგოევი (ეფრემოვი 65), ობლიაკოვი (კირნაცი 90), ჩელოვი (სიგურდსონი 78)

**რეალი:** ნავასი, კარვახალი (ოდრიოზოლა 43), ვარანი, ნაჩო, რეგილონი, კროოსი, კაზემირო (მოდრიჩი 58), სებალოსი, ვასკესი (მარიანო 58), ბენზემა, ასენსიო

**გაძევება:** აკინფეევი (90)

ცსკას გულშემატკივრებიც ვერ წარმოიდგენდნენ, თუ მათი გუნდი რეალს დაამარცხებდა. ყველაფერი კი კროოსის ინდივიდუალური შეცდომით დაიწყო, რასაც ვლაშიჩის გოლი მოჰყვა. შემდეგ კი, დარჩენილი დრო რეალის კრიზისი ვიხილეთ. მიუხედავად იმისა, რომ ცსკა ყრუ დაცვაში ჩადგა, მადრიდელებმა ვერაფერი ხეირიანი ვერ გვიჩვენეს. მხოლოდ ბურთის ფლობა, რაც გოლის გასატანად საკმარისი არ არის.

**რომა-პლზენი 5:0**

**რომი. ოლიმპიკო**

1:0, 2:0 ჯეკო (3, 40), 3:0 უნდერი (64), 4:0 კლუივერტი (73), 5:0 ჯეკო (90)

**რომა:** ოლსენი, ფლორენცი, ფასიო, ჟესუსი, კოლაროვი (პელეგრინი 75), კრისტანტე, ნზონზი, უნდერი (შიკი 74), ლორენცო პელეგრინი (ძანოლო 74), კლუივერტი, ჯეკო

**პლზენი:** კოზაჩიკი, რჟეზნიკი, ჰეიდა, ჰუბნიკი, ლიმბერსკი, პროხაზკა, ჰროსოვსკი, ზემანი (მოზესი 71), ჰორავა (კოლარჟი 64), კოვარიკი, კრმენჩიკი (რჟეზნიჩეკი 78)

რომამ სწორედ ამ მატჩში აჩვენა, რომ სეზონის სტარტზე არსებული კრიზისი უკან მოიტოვა. მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ჩეხებმა კი ვერაფერი ვერ აჩვენეს და შედეგიც კანონზომიერია.

პლზენის რბევა მე-3 წუთზე ედინ ჯეკომ დაიწყო, რომელმაც ბოლო წუთზე სულაც ჰეთ ტრიკი გაიფორმა. მის გარდა გოლები უნდირმა და ჯასტინ კლუივერტმა გაიტანეს.

**ჰ ჯგუფი**

**მანჩესტერი-ვალენსია 0:0**

**მანჩესტერი. ოლდ ტრაფორდი**

**მანჩესტერი:** დე ხეა, ვალენსია, ბაილი, სმოლინგი, შოუ, მატიჩი, ფელაინი, პოგბა, რაშფორდი, სანჩესი (მარსიალი 76), ლუკაკუ

**ვალენსია:** ნეტო, პიჩინი, გარაი, გაბრიელი, გაია, კოკლენი (სოლერი 78), პარეხო, კონდოგბია, გედეში (ჩერიშევი 82), როდრიგო, ბაჩუაი (გამეირო 73)

გუნდებმა ვერაფრით გაახარეს თავიანთი გულშემატკივრები. მართალია, მანჩესტერიდან წაღებული ქულა ვალენსიას აქტივშია, მაგრამ თამაშის ხარისხი ორივე გუნდს ძალიან ცუდი ჰქონდა.

ესპანელთაგან თითქოს გასაკვირიც არ იყო, რადგან ვალენსია შინაურ ჩემპიონატშიც ვერ ყოჩაღობს. აი, მანჩესტერისთვის და მისი თავკაცისთვის, ჟოზე მოურინიოსთვის კი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. იუნაიტედი ძალიან არასტაბილურად და არადამაჯერებლად გამოიყურება და ბლომად პრობლემები აქვს.

**იუვენტუსი-იანგ ბოიზი 3:0**

**ტურინი. ალიანც სთედიუმი**

1:0, 2:0, 3:0 დიბალა (5, 33, 69)

**იუვენტუსი:** შჩესნი, ბარძალი, ბონუჩი, ბენატია, კუადრადო, პიანიჩი (ხედირა 70), მატუიდი (ჯანი 46), ალექს სანდრო, ბერნარდესკი, დიბალა, მანჯუკიჩი (კინი 78)

**იანგ ბოიზი:** ფონ ბალმოოსი, შიკი, კამარა, ფონ ბერგელი, ბენიტო, სანოგო (ლაუპერი 46), სულეიმანი (ნგამალეუ 70), ბერტონე, სოუ, ფასნახთი (ასალე 71), ოარო

დისკვალიფიცირებული რონალდუს გარეშე გაილაღა პაულო დობალამ, რომელიც დამშეული გავიდა მოედანზე და ჰეთ ტრიკი მიითვალა.

შვეიცარიულმა კლუბმა კი ვერ მოახერხა ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია ტურინელებისთვის. ვოიცეხ შჩესნის კართან ერთი ხიფათიც კი არ შექმნილა.

იუვენტუსი კი, ჯერჯერობით, ქულადაუკარგავად აგრძელებს სვლას ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში.



# ქალთა ნაკრების პირველი მარცხი და შემცირებული შანსი

საქართველოს ქალთა ნაკრები ბათუმში მიმდინარე 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მე-8 ტურში ყაზახეთის ნაკრებს დაუპირისპირდა, რომელიც ტურნირზე მე-8 ნომრად არის განთესილი და იოლი მეტოქე არ გახლავთ, თუმცა მედლებისთვის ბრძოლაში ჩართულ ჩვენს გუნდს ყაზახეთის ნაკრების დამარცხება მართებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა – 1:3.

რა თქმა უნდა, ამ მარცხით ყველაფერი არ დასრულებულა და საქართველოს ნაკრებს მედლებისთის ბრძოლა ჯერ კიდევ შეუძლია, თუმცა ფაქტია, რომ მარცხით სიტუაცია ძალიან გაირთულა, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენტებმა – უკრაინამ და ჩინეთმა დამაჯერებლად მოიგეს.

ყაზახებთან შეხვედრაში საქართველო ნაკრების კაპიტანმა ელიზბარ უბილავამ წინა ტურში მძიმე შეხვედრის შემდეგ ბელა ხოტენაშვილი დაასვენა და მეოთხე დაფაზე თამაშის შანსი მერი არაბიძეს მისცა. პირველი შეხვედრა სწორედ არაბიძემ დათმო. მალევე ნანა ძაგნიძე მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა, რასაც ლელა ჯავახიშვილის მარცხი და ნინო ბაციაშვილის ყაიმი მოჰყვა. მოკლედ, ჩვენებმა შავი ფიგურებით ორივე დაფაზე წააგეს, თეთრებით კი მხოლოდ ყაიმს დასჯერდნენ.

ქალთა მეორე გუნდი მე-8 ტურს, რომელშიც აზერბაიჯანის ნაკრებს ეთამაშა, 11 ქულით და მე-11 პოზიციით შეხვდა. აზერბაიჯანთან შეხვედრა რთული და მნიშვნელოვანი გახლდათ. ჩვენი მეორე გუნდის მიზანი ოლიმპიადაზე საუკეთესო ათეულში შესვლაა, რაც არ გახლავთ მარტივად გადასაჭრელი ამოცანა. გამარჯვების შემთხვევაში ამის რეალური შანსი ჩნდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ნაკრების გოგონები 1.5:2.5 (სალომე მელია-გუნაი მამადზადა 0:1; ინგა ჭარხალაშვილი-ზეინაბ მამედიაროვა 1:0; სოფიო გვეტაძე-ხანიმ ბალაიაიევა 0:1; სოფიკო გვეტაძე-გულნარ მამადოვა 0.5:0.5) დამარცხდნენ.

ქალთა მესამე ნაკრები ალჟირს შეხვდა და 2.5:1.5 (ნინო ხომერიკი-ამინა მეჟიოუდი 0.5:0.5; მარიამ ჯანიაშვილი -საბრინა ლატრეჩე 1:0; თამარ ესაძე-ჰაიატ ტაუბალი 0.5:0.5; დიანა ლომაია-ლინა ნასრი 0.5:0.5) აჯობა.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მოლდოვის ნაკრებთან შეხვედრა 1.5:2.5 დათმო. ნინო გურიელმა წინა გამარჯვების შემდეგ ეს დაპირისპირებაც ანალოგიური ოთხეულით დაიწყო, თუმცა ამჯერად ჩვენმა ვაჟებმა ვეღარ იყოჩაღეს. ბაადურ ჯობავა ვიორელ იორდანესკუსთან დამარცხდა, ხოლო ლევან ფანცულაია – დმიტრი სვეტუშკინთან. მათი მარცხი ივან ჩეპარინოვის ყაიმმა ვლადიმირ ჰამიტევიჩთან და დავით ჯოჯუას ნიკიტა მოროზოვთან გამარჯვებამ ვერ გადაფარა.

ვაჟთა მეორე გუნდს არ გასჭირვებია ნეპალის ძლევა – 3.5:0.5 (ლუკა პაიჭაძე-ჰიმალ ლამა 1:0; დავით მაღალაშვილი-ბიბეკ ფინგი 0.5:0.5; ირაკლი ბერაძე– ჯეისველ რუპეში 1:0; გიგა ყუფარაძე-რაჟბჰანდარი რიჟენდრა 1:0).

მესამე გუნდმა ინდონეზიასთან 2:2 (ლუკა ობოლაძე-ნოვენდრა პრიასომორო 0:1; ნიკოლოზ პეტრიაშვილი-ვინშჰანდ სიან ჩუჰენდი 1:0; ნიკოლოზ კაჭარავა-ჟოდი აზარია სეტიაკი 0:1; გიორგი სიბაშვილი-პიტრა ანდიკა 1:0) ითამაშა.

ოლიმპიადის ყოველ ტურს ლიდერის ცვლილება მოსდევს როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა შორის. შვიდ ტურში ექვსი გამარჯვებით და ერთი ფრით ვაჟთა ოლიმპიადას აზერბაიჯანის, პოლონეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები ლიდერობდნენ. მე-8 დღეს პირველ მაგიდას სწორედ აზერბაიჯანელები და ამერიკელები მიუსხდნენ. ყველაზე გვიან მეოთხე დაფაზე გამართული სემუელ შენკლენდისა და რაუფ მამედოვის დაპირისპირება დასრულდა. იმ დროისთვის ანგარიში 1,5:1,5 იყო. პირველ დაფაზე ამერიკელთა ლიდერმა ფაბიანო კარუანამ თეთრი ფიგურებით პირველი მარცხი აგემა შახრიარ მამედიაროვს. მეორე დაფაზე ტეიმურ რაჯაბოვმა გაიმარჯვა, მისი ოპონენტი უესლი სო კი, 8 ტურში პირველად დაშამათდა. მესამე დაფაზე ჰიკარუ ნაკამურა და არკადი ნაიდიჩი ყაიმზე შეთანხმდნენ. სულ ბოლოს კი, როგორც ვთქვით, მეოთხე დაფის შედეგი გაირკვა: შენკლენდმა შავი ფიგურებით დააშამათა რაუფ მამედოვი, ამერიკამ კი 2,5:1,5 მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელები წინა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან.

აზერბაიჯანი-ამერიკის პაექრობაზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა პოლონეთ-სომხეთის დაპირისპირება. საწყის ექვს ტურში გამარჯვების შემდეგ პოლონელებმა ზედიზედ მეორედ ითამაშეს ფრედ და მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა შორის ძალიან სიმჭიდროვეა, ფინიშამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება, კვლავ ინარჩუნებენ არათუ მედლის, ჩემპიონობის შანსსაც. არადა, პოლონელები 1939 წლის შემდეგ პრიზიორთა შორისაც არ გამოჩენილან.



ლიდერთა შორის დაბრუნდა საფრანგეთი (უკრაინასთან 2,5:1,5-ის შემდეგ), ისრაელის ნაკრებმა კი პირველ ოთხ ტურში გამარჯვების შემდეგ, კვლავ ვერ მოიგო. მეტიც: ზედიზედ სამი ფრეს შემდეგ ინგლისთან დამარცხდა – 1,5:2,5 და, სავარაუდოდ, ოქროს მედლისთვის ბრძოლას ჩამოშორდა.

სომხეთის ქალთა ნაკრები, რომელიც 7 ტურში 6 გამარჯვებით და ერთი ყაიმით ერთპიროვნულად ლიდერობდა ოლიმპიადას, უკრაინასთან დამარცხდა – 1:3.

2 წლის წინანდელი ოლიმპიადის ტრიუმფატორმა ჩინეთის ნაკრებმა რუმინეთი დაამარცხა – 3,5:0,5.

მოწინავე ათეულის სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია რეიტინგის მეხუთე ნომრის ინდოეთის ნაკრების მარცხი უნგრეთთან – 1:3. შეგახსენებთ, რომ უნგრეთი ბათუმი 2018-ზე მეცამეტე გუნდადაა განთესილი.

რეიტინგის ლიდერმა რუსეთის ნაკრებმა კიდევ ერთხელ მოიგო. ოლიმპიადის თანაფავორიტებმა ამჯერად ჰოლანდიელებს სძლიეს – 4:0.

**სატურნირო ცხრილი:**

**ქალები**

1-2. ჩინეთი, უკრაინა – 14-14 ქულა;

3-7. ამერიკა, უნგრეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი – 13-13;

8-12. რუსეთი, საქართველო (1), ირანი, მონღოლეთი, რუმინეთი – 12-12;

13. საქართველო (2) – 11;

23. საქართველო (3) – 11;

**კაცები**

1.აშშ – 15;

2.პოლონეთი – 14;

3-9. აზერბაიჯანი, ინდოეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, სომხეთი, გერმანია, ინგლისი – 13-13;

38. საქართველო (1) – 10;

41. საქართველო (2) – 10;

59. საქართველო (3) – 9;

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ზვიგენი საჭმლის გამო ნაპირზე ამოხტა

ვეფხვისებრი ზვიგენი ნაპირზე ამოხტა, რათა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაღუპული და ნაპირზე გამორიყული ვეშაპის ლეშს დაუფლებოდა.



ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი მოზამბიკის ერთ-ერთ პლაჟზე 38 წლის ლორეინ გეიმერმა გადაიღო. ვიდეოს დასაწყისში დაახლოებით ოთხი მეტრი სიგრძის ვეფხვისებრი ზვიგენი კუზიანი ვეშაპის ლეშზე წევს და წყალში დაბრუნებას ვერ ახერხებს. თუმცა მალე ძლიერი მოქცევა ვეშაპის ლეშს აბრუნებს და მას ნაპირისკენ აჩოჩებს. ამით ზვიგენმა ისარგებლა, მიტრიალდა და ოკეანეს მიაშურა.

მას შემდეგ, რაც ზვიგენი წავიდა, ვეშაპის ოცდაათტონიან ლეშთან თავი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოიყარეს იმის იმედად, რომ ზღვის ცხოველის ხორცს და ქონს დაინაწილებდნენ.

## ამერიკელი ზღვის კიტრით გატაცებამ ციხემდე მიიყვანა



აშშ-ის მცხოვრებ ჰუნ ნემკუნს ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს ზღვის კიტრით ვაჭრობის წესების დარღვევისთვის.

მამაკაცმა თავი დამნაშავედ ცნო იმაში, რომ ზღვის კიტრის შესყიდვების ნამდვილ მასშტაბებს მალავდა. 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, მისმა კომპანიამ 113,4 ათასი კილოგრამი ზღვის კიტრი შეიძინა, შემდეგ კი ის აშშ-სა და აზიაში გაყიდა. პროკურორის ანეტ ჰეიესის თქმით, ამან ზღვის კიტრის მთლიანად ლეგალურად ბრუნვის მეხუთედი შეადგინა და სერიოზული ზიანი მიაყენა პიუჯეტის ყურეს ეკოსისტემას.

ორწლიანი პატიმრობის გარდა, ნემკუნს კომპენსაციის სახით 1,5 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. ასევე საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ის ადმინისტრაციული ზედამხედველობის ქვეშ იქნება.

## ფოსტამ ბებიას შეკვეთილი წიგნები 20 წლის შემდეგ მიუტანა

ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრი ვერა უოლკერი 20 წელი ელოდებოდა ამანათს საბავშვო წიგნებით.



ქალაქ ორლანდოს მცხოვრებმა ქალბატონმა თავისი ოთხი წლის შვილიშვილისთვის ამერიკელი საბავშვო მწერლის დოქტორ სიუზის რამდენიმე წიგნი 1998 წელს შეუკვეთა. ამანათი დიდი ხნის განმავლობაში არ მიუღია მის შემკვეთს და უოლკერს ის უბრალოდ გადაავიწყდა. საბოლოოდ წიგნები მას 2018 წლის სექტემბრის ბოლოს მიუტანეს.

– ამანათი გავხსენი, თარიღს დავხედე და მოულოდნელობისგან შევყვირე, – განაცხადა უოლკერმა.

ფოსტამ ამანათის ასეთი შეფერხება იმით ახსნა, რომ ის ძველ საფოსტო ყუთში გაიჭედა. უოლკერი მომხდარს იუმორით შეხვდა და განაცხადა, რომ ახლა უკვე წიგნებს სიამოვნებით კითხულობს მისი ხუთი წლის შვილთაშვილი.

## კურიერმა ფეხმძიმე ქალს დახმარებაზე უარი უთხრა



ფეხმძიმე ქალბატონს ემი ბოტენს ბრიტანეთის ქალაქ ფელტემიდან თავისი ატირებული ბავშვის დაეტოვება მოუწია, რათა კიბეზე რამდენიმე შეძენილი ყუთი თავად აეტანა, რადგან კურიერმა მას დახმარებაზე უარი უთხრა.

ქალმა ბავშვებისთვის 200 ფუნტი სტერლინგის პროდუქტები და ნივთები შეიძინა და მათი სახლში მიტანა შეუკვეთა. კურიერმა ნივთები პირველ სართულზე კიბესთან დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ ქალის ბინა ერთი სართულით მაღლა მდებარეობდა. ემი ბოტენმა კურიერს სთხოვა, შეკვეთის ზევით ატანაში დახმარებოდა, ვინაიდან სახლში ატირებული ბავშვი დატოვა, მაგრამ კურიერმა ამაზე უარით უპასუხა, ცარიელი ყუთები აიღო და წავიდა. ემი ბოტენმა კურიერთან საუბარი ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ის ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ადგილზე მიტანის სამსახურმა კომპენსაციის სახით მას შამპანური და ყვავილები გაუგზავნა.

## კაფეს თანამშრომლებს უსახლკაროს წყენინება სამსახურის დაკარგვად დაუჯდათ

აშშ-ში კაფე Dunkin Donuts-ს თანამშრომლებმა უსახლკარო მამაკაცს გართობის მიზნით წყალი შეასხეს და შედეგად სამსახური დაკარგეს.

ინციდენტი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ სირაკუზის კაფეში მოხდა. მისი თანამშრომლების ყურადღება მაგიდაზე ჩამოძინებულმა უსახლკარო ჯერემი დუფრესნემ მიიპყრო და გადაწყვიტეს ის დაწესებულებიდან ყინულივით ცივი წყლის დასხმით გაეგდოთ.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ აქ აღარ დაიძინო? მთელი დღეები აქ გდიხარ, – უთხრა უსახლკაროს კაფეს თანამშრომელმა ოპერატორის სიცილის ფონზე. მოულოდნელობისგან დუფრესნე ადგილზე შეხტა, აიღო ტელეფონი, დამტენი და თავის მართლება დაიწყო, რომ ეს შემთხვევით დაემართა. კაფეს თანამშრომელი ამაზე პასუხად ეუბნება, რომ პოლიციას არ გამოიძახებს და მამაკაცს გარეთ აგდებს.

ფეისბუქში გამოქვეყნებულმა აღნიშნულმა ვიდეომ 1,7 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა და ინტერნეტ-მომხმარებელთა რისხვა გამოიწვია. უსახლკაროთა უფლებების დამცველმა ალ-ამინ მუჰამედმა, რომელსაც დაახლოებით ათი წელი ქუჩაში აქვს გატარებული, დაწესებულების შენობის წინ დემონსტრაცია მოაწყო და დუფრესნეს დასახმარებლად კრაუდფანდინგური კამპანია წამოიწყო. ამ გზით მან ხუთი ათას დოლარზე მეტის შეგროვება შეძლო.



Dunkin Donuts-ს წარმომადგენლის განცხადებით, ინციდენტის მონაწილე თანამშრომლები სამსახურიდან გაათავისუფლეს. კომპანია უსახლკარო მამაკაცისთვის ოფიციალურად ბოდიშის მოხდას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მოსწავლე მეგობარი გოგონას კოცნისთვის ციხეში ჩასვეს



თურქეთში 16 წლის მოზარდს პატიმრობა მიუსაჯეს თავისი 13 წლის მეგობარი გოგონას კოცნისთვის. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ანტალიის პროვინციის სასამართლომ მოზარდ ა.კ-ს წაუყენა ბრალდება, რომელსაც ჟურნალისტები გოგონაზე სექსუალურ ძალადობას უწოდებენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის გოგონას მოეხვია და აკოცა. ეს ყოველივე ვიდეოზე შეყვარებულის თანაკლასელმა გადაიღო და მეგობრებს აჩვენა. ამის შესახებ შეიტყო სკოლის ხელმძღვანელობამ, მან თავის მხრივ პოლიციას აცნობა და მოზარდთან მიმართებაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მოზარდს, რომელმაც ვიდეო გადაიღო, „ბავშვების ექსპლოატაციისა და ულირსი გადაღებების“ ბრალდება წაუყენეს, ხოლო მის ოთხ მეგობარს, რომლებმაც ვიდეო ახლობლებში გაავრცელეს „ბავშვების მონაწილეობით ულირსი ვიდეომასალების გავრცელების“ ბრალდება. თუმცა საბოლოოდ სასამართლომ ყველა მათგანს მოუხსნა ბრალდება, ხოლო ა.კ-ს ოთხნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

*სპორტი*

# რუსთავმა და ლოკომოტივმა ქულები გაიყვეს

**<u>რუსთავი-ლოკომოტივი 1:1</u>**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ჯიქია (1), 1:1 პაპავა (50)

**რუსთავი:** სეფიაშვილი, პაპავა, ქავთარაძე, ლობჯანიძე (გუჯაბიძე 73), კვარაცხელია (მარცვალაძე 78), ბუგულოვი, ღონღაძე (სილაგაძე 54), ციცქიშვილი, თ.კირკიტაძე, ლ.გადრანი, ჩუკურა



**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ქურდაძე, ჭანტურია, ჯიქია (ოზბეთელაშვილი 87), შონია, დავითაშვილი, გაბაძე, უბილავა, ჯონი (ინჯგია 70), სამურკასოვი (გვალია 88), კობახიძე

ლოკომოტივმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა. თემურ შონიას საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ, დავით ჯიქიამ 21-ე წამზე გაიტანა და მიმდინარე ეროვნულ ლიგაში უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა.

პირველ ნახევარში ჯიქიას დუბლის შესრულება ორჯერ შეეძლო, თუმცა ორივე შემთხვევაში კოკა სეფიაშვილმა აჯობა. გატანა შეეძლოთ მასპინძლებსაც, თუმცა ზაზა ციცქიშვილის დარტყმა რევაზ თევდორაძემ მოიგერია.

მეორე ნახევარში რუსთავმა წონასწორობა მაინც აღადგინა: 50-ე წუთზე გოლი გიორგი პაპავამ გაიტანა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 27 | 19 | 3 | 5 | 48-22 | 60 |
| 2.დინამო | 26 | 17 | 4 | 5 | 50-24 | 55 |
| 3.დილა | 26 | 13 | 9 | 4 | 48-32 | 48 |
| 4.ჩიხურა | 27 | 13 | 5 | 9 | 41-26 | 44 |
| 5.ტორპედო | 24 | 12 | 5 | 7 | 38-20 | 41 |
| 6.ლოკომოტივი | 26 | 9 | 5 | 12 | 33-43 | 32 |
| 7.რუსთავი | 27 | 6 | 11 | 10 | 25-31 | 29 |
| 8.სიონი | 27 | 5 | 6 | 16 | 22-46 | 21 |
| 9.სამტრედია | 27 | 2 | 9 | 16 | 21-49 | 15 |
| 10.კოლხეთი | 27 | 4 | 7 | 16 | 23-56 | 13 |

**შენიშვნა: კოლხეთი 1913-ს დაკლებული აქვს 6 ქულა**

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 4 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – იყავით გულმოწყალე, არ იძუნწოთ. დაეხმარეთ ადამიანებს და თავს გაცილებით უკეთესად იგრძნობთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის. ენერგია გემატებათ. **ტყუპები** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი ჩანაფიქრის განხორციელებაში გეხმარებათ. უკან არ დაიხიოთ. **კირჩხიბი** – საქმიან შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ მიიღებთ. დაიტვირთეთ ფიზიკურად. **ლომი** – უსიამოვნო ინფორმაცია დაგძაბავთ. ემოციები მოთოკეთ და თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ქალწული** – პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **მშვილდოსანი** ... 

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ამერიკელი ესტრადის მომღერალი მამაკაცი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 3. სომხური ანბანის შემქმნელი; 4. მარნეულის ძველი სახელწოდება; 5. მდინარე იორდანია-ისრაელის საზღვარზე; 7. კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მეათე საუკუნის კახეთში; 11. მინერალური წყალი სამეგრელოში; 12. ინგლისელი მწერალი რომან „დორიან გრეის პორტრეტი“-ს ავტორი; 13. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 14. ძვირფასი ლითონი; 15. ბრაზილიური არაყი; 17. სპეციალური ნივთიერება, რომლითაც ავსებენ დაზიანებული კბილის ღრუს; 19. სუბტროპიკული ხილი.

**თარაზულად:** 5. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 6. ფულის ფასიანი ქაღალდების კურსის დაწევა ბირჟაზე; 8. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. ქართული მოკლე უვადო ხმალი; 10. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 11. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 14. პოლონელი მწერალი რომანების „თოჯინა“, „ფარაონის“ ავტორი; 16. გერმანული ავტომობილი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტი ჩიკაგოში; 20. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდისტური მისტიკური მოძღვრების მიხედვით; 21. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კუსტო; 2. შაორი; 3. გალიერა; 4. ლეგო; 5. სუმო; 6. სტატიკა; 9. კონდენსაცია; 10. ალარმისტი; 11. ლუსტრაცია; 14. „ტოკაი“; 16. ქაირო; 18. არაბიკა; 20. პარკეტი; 23. ალაო; 24. ცხუმი; 25. ეროტი; 26. ლაპი.

**თარაზულად:** 7. პანიკური; 8. მონუმენტი; 12. ფეოლა; 13. გურია; 15. სიდრი; 17. კომენტარი; 19. რვალი; 21. დასტა; 22. კიურე; 27. აკონგაკუა; 28. კომპლექტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლინატე; 2. ალუპკა; 3. ენისელი; 4. კარდიფი; 5. გურიელი; 7. გერნიკა; 11. იანძი; 12. ფიორდი; 13. ძილქუში; 14. კონსული; 15. დავითი; 17. ფესახი; 19. ხოტი.

**თარაზულად:** 5. გავიალი; 6. ესენცია; 8. კურუ; 9. ვერფი; 10. ენძელა; 11. იედო; 13. ძაბუტონი; 14. კონტე; 16. სფერო; 18. სექტა; 20. ლენტეხი; 21. თარხანი.

# სოფი ვილის ფესტივალზე ქართველმა ჯარისკაცმა სიმღერაში ხელი შეუშალა




მომღერალ სოფი ვილის, იგივე სოფო ხუციშვილს ერთ-ერთ ფესტივალზე ქართველმა ჯარისკაცმა სიმღერაში ხელი შეუშალა:

– საკმაოდ დიდ ფესტივალზე, მსმენელთა შორის, ქართველი ჯარისკაცის ფორმაში რომ დგას ძალიან არაფხიზელი მამაკაცი და შენი კონცერტის მსვლელობის დროს ბოლო ხმაზე ყვირის „გულაობა მინდა, „ახ ტურფავ ტურფავ დაუკარი ახლავე“ და წინ მდგომ მოცეკვავე ბავშვებს ეუბნება, მიდით, ბავშვებო, თქვენც ამყევითო და ეს ბავშვები ერთხმად იგივეს ყვირიან.

ძალიან შეურაცხმყოფელად მიმაჩნია ეს ფაქტი. იმიტომ, რომ ასეთი ადამიანი, მით უმეტეს, სამხედრო ფორმაში, ეგეთ მომენტში კი არ იცავს ქვეყნის ღირსებას, არამედ უბრალოდ ფეხქვეშ თელავს ყველაფერს. როდისღა უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის ელემენტარული პატივისცემა? თუ არ მოგწონს, რას დგახარ და რას უსმენ, სხვა მსმენელს რატომ უკლავ იქ ყოფნის სურვილს? არ მესმის ეს სიცხოველე და თუ ვცდები რამეში, მითხარით.

# ქართული ანბანი ფრანკფურტის მეტროში გამოიფინა

წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მასპინძელი ქვეყანაა, ამიტომ მზადება გერმანულმა და ქართულმა მხარეებმა კარგა ხნის წინ დაიწყეს.

ფრანკფურტში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაიგეგმა: გამოფენები, პრეზენტაციები, ქართული კინოს ჩვენებები, ქართული ანბანისა და დამწერლობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ფრანკფურტის მეტროში ქართული ანბანი გამოიფინა. ფოტოები ოპერის მომღერალმა გიორგი ონიანმა გაავრცელა, რომელიც წლებია გერმანიაში ცხოვრობს:

– ქართული ანბანი ფრანკფურტის მეტროში!

მომენტი, როცა გული სიამაყით გევსება.




# დათო ლიკლიკაძე: „სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული თეატრი ყველაზე დიდ სიმაღლეზე“



ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე ქუთაისის მნიშვნელობაზე სოციალურ ქსელში წერს და აცხადებს, რომ გამოთქმა „რად უნდა ქუთაისს პარლამენტი“, მისთვის კატეგორიულად მიუღებელია:

– თქვენზე ადრე გვქონდა „პარლამენტი“ და თქვენზე ადრე გვქონდა დედაქალაქის სტატუსი, ვიდრე არაბთა ბატონობის ქვეშ იყავით და ქუთაისში გამეფებულმა კაცმა არ გაათავისუფლა თბილისი. მას მერე ბევრი რამ მოხდა...

სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული თეატრი ყველაზე დიდ სიმაღლეზე: საკმარისია ვახსენო მარჯანიშვილის მაშინდელი თეატრი, რომელიც ქუთაისის თეატრი იყო, ან ვერიკო ვახსენო, ან უშანგი ჩხეიძე;

სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული მეცნიერება ყველაზე დიდ სიმაღლეზე: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე;

სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული პოეზია ყველაზე დიდ სიმაღლეზე: აკაკი, გალაკტიონი, მთელი ცისფერყანწელთა პლეადა;

სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული საკომპოზიტორო სკოლა ყველაზე დიდ სიმაღლეზე: ზაქარია ფალიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე;

სწორედ ჩვენ ავიყვანეთ ქართული სპორტი ყველაზე დიდ სიმაღლეზე: ქორქია, საკანდელიძე, მაია ჩიბურდანიძე;

სწორედ ჩვენ მივეცით ყველაზე დიდი ქართველები საქართველოს, ნიკო ნიკოლაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახით, რომელთაც მხოლოდ ილია თუ გაუტოლდება.

სწორედ ამ ქალაქიდან დაირწა ქართული კინოს აკვანი: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში;

სწორედ ამ ქალაქიდან გამოგიგზავნეთ, ამ ქალაქშივე გამოგონებული „ლაღიძის წყლები“ ახლა თბილისური კოლორიტი რომ ჰქვია და სწორადაც;

მოკლედ, კი არაფერს გამადლით, ღმერთმა დამიფაროს, საკუთარ ქვეყანას არ ამადლიან, მით უფრო საკუთარ დედაქალაქს, მაგრამ ცოტა ტ..კი დავაყენოთ, როდესაც ქუთაისზე იტყვით: „რად უნდა ამ ქალაქს პარლამენტი“!

# გოდერძი ჩოხელის იუბილე გუდამაყარში აღინიშნება



მწერლის, სცენარისტისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის 64 წლის აღსანიშნავად, გუდამაყარში, მის მშობიულ სოფელ ჩოხში სპეციალური ღონისძიება გაიმართება.

6 ოქტომბერს გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოეწყობა ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა.

გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, სცენარისტის, რეჟისორის შესახებ ისაუბრებენ ქართველი მწერლები, პოეტები, ხელოვნების მუშაკები.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და მოწვეული ანსამბლები. გაიმართება დოღი და ტრადიციული სამზარეულოს ჩვენება-დაგემოვნება.

გოდერძი ჩოხელი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი უწმინდესობის ინიციატივით, ხელოვანი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

ჩოხელის ფილმები, მოთხრობები თუ ლექსები მაყურებელში დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის დასტურია ისიც, რომ „ბიბლუსის“ ისტორიაში ყველაზე გაყიდვადი პროზაული კრებული სწორედ გოდერძი ჩოხელის მოთხრობები გახდა. ოჯახს ბიბლუსმა სპეციალური პრიზი გადასცა.

# ლალი კანდელაკი „დონ კიხოტში“ უკანასკნელად იცეკვებს




ქართველი პრიმა ბალერინა ლალი კანდელაკი „დონ კიხოტში“ ბოლოჯერ იცეკვებს.

16 ნოემბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დიდი საბალეტო ზეიმი შედგება. თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი, პრიმა-ბალერინა ლალი კანდელაკი „დონ კიხოტში“ მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავთან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბრუკლინ მაკთან ერთად იცეკვებს.

ბალეტის მოყვარულებს ნამდვილი დღესასწაული ელით. თუმცა, ამ ზეიმს ერთგვარი სევდა ახლავს თან. ლალი კანდელაკმა გადაწყვიტა, რომ ეს „დონ კიხტოში“ მისი ბოლო შესრულება იქნება. მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება ჩელიტას პარტიაში მისი მართლაც გამორჩეული შესრულება, რომლის ნახვის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ 16 ნოემბერს მიეცემა.

# ანსამბლმა „ლილემ“ საბერძნეთში პირველი ადგილი მოიპოვა




საბერძნეთში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „იდეების ტალღა“ საქართველოს ყრუთა კავშირთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლილემ“ პირველი საპრიზო ადგილი მოიპოვა. „ლილე“ ქართველმა მაყურებელმა „ნიჭიერიდან“ გაიცნო, სადაც თავისი ცეკვით გოგონებმა ჟიურიც და მაყურებელიც მოხიბლეს.

ანსამბლი საბერძნეთში, ქალაქ ლუტრაკში საერთაშორისო ფესტივალზე რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა. ფესტივალზე „იდეების ტალღა“, გარდა პირველი ადგილისა, ანსამბლმა „ლილემ“ მიიღო განსაკუთრებული ჯილდო და ასევე, საგანგებო მოწვევა ფესტივალის ორგანიზატორებისაგან, რაც მას ყოველგვარი საფესტივალო მოსაკრებელი თანხის გადახდისგან ათავისუფლებს.

„საქართველოს ყრუთა კავშირთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლილეს“ წევრები, ყრუ და სმენადაქვეითებული მოცეკვავეები არიან, რომლებმაც გამარჯვება თანაბარ პირობებში მოიპოვეს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ყოფილ „მის ერაყს“ სიკვდილით ემუქრებიან



„მის ერაყის“ ყოფილმა მფლობელმა შიმა კასემმა უცნობი პირების მხრიდან მუქარის თაობაზე ისაუბრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან მუქარის შემცველი შეტყობინებები მოდელის ტარი ფარესის დაღუპვიდან მცირე ხანში მიიღო.

კასემმა ჩაწერა ვიდეო, რომელშიც თვალცრემლიანმა განაცხადა, რომ მან მიიღო შეტყობინება შემდეგი სიტყვებით: „შენ შემდეგი ხარ“, ეს მისი კოლეგის მკვლელობის მეორე დღეს მოხდა. მისი თქმით, მის თანამემამულეებს, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს, წიწილებივით ხოცავენ და მან ფარესს წამებული უწოდა.

ქალთა უფლებების დამცველი ჯგუფ „ალ-ამალის“ დამფუძნებელმა ჰანა ედვარმა აღნიშნა, რომ ის, რაც ხდება, საშიშროებას წარმოადგენს არა მხოლოდ სილამაზის ინდუსტრიაში მოღვაწე ერაყელების, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.

– ასეთი ქმედებები ეს არის იმის მცდელობა, რომ ქალები ისხდნენ სახლებში და ცხვირი გარეთ არ გამოყონ, – განაცხადა ჰამა ედვარდმა.

### ამერიკელ გუბერნატორს დაკარგული ბეჭედი დაუბრუნეს



მისისიპის შტატის გუბერნატორს ფილ ბრაიანტს 29 წლის წინ დაკარგული ნიშნობის ოქროს ბეჭედი დაუბრუნეს. ის შტატის ერთ-ერთმა მცხოვრებმა გადაგდებულ დივანში იპოვა.

ჯეფ მეხერმა ძველი დივანი, რომელიც გუბერნატორის მეუღლის ბიძაშვილის სახლის წინ გზის პირას იყო გამოტანილი, წაიღო და მალე მასში ოქროს ბეჭედი აღმოაჩინა. მან ამის შესახებ გუბერნატორის ადმინისტრაციას აცნობა, ვინაიდან მიხვდა, თუ საიუველირო ნაკეთობა ვის ეკუთვნოდა. მასზე გუბერნატორის ინიციალები და მისი ქორწილის თარიღი: 1976 წლის 31 დეკემბერი იყო ამოტვიფრული.

გუბერნატორი პირადად შეხვდა მეხერს, ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეგობრები: მიშა შვანგირაძე, ლევან ფანცულაია, ჯემალ კიკალეიშვილი, ვაჟა ჩიტაური, გოგი შათირიშვილი, მიშა ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ფარესიშვილი, ივერი ფირაშვილი, ირაკლი ტყეშელაშვილი დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით იუწყებიან ადამიანური გულწრფელობით, ნიჭიერებით, კეთილშობილებით, საქმისადმი ინტერესიანი და პრინციპული მიდგომით ყოველთვის გამორჩეული პიროვნების

**ავთანდილ (ავთო) ხოფერიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ოჯახის ახლობლებს.

დგებუაძეების საგვარეულო კავშირის გამგეობა იუწყება, რომ კობა დგებუაძეს გარდაეცვალა სიმამრი

**აბესალომ (იუზა) კოზუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

### პატარა გოგონამ მძარცველებს ნადავლის ნაწილი წაართვა



ფილიპინებზე პატარა გოგონა შეიარაღებული მძარცველების შეჩერებას შეეცადა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

რვა წლის გოგონა ეზოში თამაშობდა, როდესაც სამი მამაკაცი მამამისთან მივიდა და იარაღის მუქარით ფული წაართვეს. ამ დროს კი მეოთხე მძარცველი სახლში ძვირფასეულობას ეძებდა. ამის შემდეგ მძარცველებმა საკუთარ სკუტერებს მიაშურეს.

როდესაც მათ პატარა გოგონას გვერდით ჩაუარეს, ის ერთ-ერთ მძარცველს თავს დაესხა. ჩანთა, რომლითაც მას ნაძარცვი მიჰქონდა, გაიხა და ნაძარცვი მიწაზე დაიყარა. ამან მძარცველები ვერ შეაჩერა, მაგრამ გოგონა არ მოეშვათ და ერთ-ერთის სკუტერს შეახტა.

მძარცველებმა ის მიწაზე დააგდეს და გაიქცნენ. გოგონამ რამდენიმე დაჟეჟილობა და სხეულზე ჩალურჯებები მიიღო. ასევე, სავარაუდოდ, მას ცხვირი აქვს გატეხილი. საავადმყოფოში გატარებული ორი დღის შემდეგ გოგონა სახლში დაბრუნდა.

### ცნობილმა ანატომმა ცოლს თავისი სხეულის დანაწევრება უანდერძა



ადამიანის სხეულების და მათი ნაწილების საქვეყნოდ ცნობილი გამოფენის შემქმნელმა გიუნტერ ფონ ჰაგენსმა მოისურვა, რომ გარდაცვალების შემდეგ თავად იქცეს ექსპონატად.

გერმანელმა ანატომმა, რომელსაც „ექიმის სიკვდილი“ შეარქვეს, თავის მეუღლეს უჩვეულო თხოვნით მიმართა: გარდაცვალების შემდეგ მისი სხეული დაანაწევრონ და ექსპონატის სახით გამოფენაზე გამოიტანონ. ასეთი აზრი მას პარკინსონის დაავადების პროგრესირების გამო დაებადა.

მისმა მეუღლემ ანჯელინა უოლმა, რომელიც ასევე ანატომია, აღიარა, რომ საკუთარი თავის „დანაწევრება“ ფონ ჰაგენსმა სწორედ მას დაავალა. თავიდან ის ამ დავალებამ ძალიან შეაცბუნა, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ ეს მისთვის უდიდესი პატივი, ხოლო მისი მეუღლისთვის კარიერის ლოგიკური დასასრული იქნებოდა.

ფონ ჰაგენსმა მეუღლეს გლოვისთვის ერთი წელი მისცა, რომლის ამოწურვის შემდეგ, მან მისი სხეული ექსპონატად უნდა აქციოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6133
ევრო — 3.0084
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3837
100 რუსული რუბლი — 3.9882

## ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბრისთვის




## მილანს იბრაჰიმოვიჩის ყიდვა სურს



ზლატან იბრაჰიმოვიჩი შესაძლოა მილანში დაბრუნდეს. იტალიელებმა ზლატანის მიმართ სერიოზული ინტერესი გამოხატეს და უახლოეს მომავალში ისინი აპირებენ, რომ ლოს ანჯელეს გელექსის დაუკავშირდნენ, სადაც ამჟამად თამაშობს ზლატანი.

იბრაჰიმოვიჩის ბოლო ევროპული გუნდი მანჩესტერ იუნაიტედი იყო, სადაც მან რამდენიმე წელიწადი გაატარა, მილანში კი ის 2010-2012 წლებში თამაშობდა.

ზლატანი უკვე 37 წლის არის, მაგრამ ჯერჯერობით შვედი ფორვარდი კარიერის დასრულებას არ აპირებს.

## მოურინიო თავისი ფეხბურთელების კრიტიკას აგრძელებს



ჟოზე მოურინიომ ვალენსიასთან მატჩის შემდეგ თავისი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი გააკრიტიკა და თქვა, ისინი არ არიან ტექნიკურად საკმარისად კარგად მომზადებულები. მოურინიომ არ დააკონკრეტა, თუ რომელ ფეხბურთელებზეა საუბარი.

ბოლო პერიოდში მანჩესტერ იუნაიტედი ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებს, მოურინიოს კი თავის ბევრ ფეხბურთელთან გაუფუჭდა ურთიერთობა, განსაკუთრებით პოლ პოგბასთან, რომელთანაც ჟოზეს დიდი ხანია კონფლიქტი აქვს.

ვალენსიასთან მანჩესტერმა კვლავ ვერ მოახერხა გამარჯვება და შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა.

## ტომას მიულერი: „უკეთ უნდა გვეთამაშა“



მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა აიაქსთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს გაცილებით უკეთ თამაში მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაიერნს ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის ბრძოლა გაუჭირდება:

– მეორე ტაიმში მოწოდების სიმაღლეზე ვერ ვიყავით და ბურთს ძალიან ხშირად ვკარგავდით. ასეთი რამ დაუშვებელია. შეცდომებზე უნდა ვიმუშაოთ და შემდეგი შეხვედრები უფრო მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

ბაიერნმა საკუთარ მოედანზე აიაქსის დამარცხება ვერ შეძლო და მხოლოდ ფრეს დასჯერდა.

## კეილორ ნავასი: „რონალდო უკვე წარსულია“



მადრიდის რეალის მეკარემ კეილორ ნავასმა ცსკასთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს აკლია კრიშტიანო რონალდო, მაგრამ ის უკვე წარსულია და რეალმა მომავალზე უნდა იფიქროს.

– ჩვენ დღეს ცუდად ვითამაშეთ, თუმცა ვთვლი, რომ მარცხი არ დაგვიმსახურებია, რადგან მეტოქემ ჩვენს კართან მხოლოდ ერთი მომენტი შექმნა. რონალდო უკვე წარსულია, ამიტომ მასზე საუბარი არ ღირს, ჩვენ მხოლოდ წინ უნდა გავიხედოთ. კურტუასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ჩვენ კოლეგები ვართ, – განაცხადა ნავასმა.

## ხოსეპ გვარდიოლამ დავიდ სილვა შეაქო



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ დავიდ სილვაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის უნიკალური ფეხბურთელია.

დავიდ სილვამ ჰოფენჰაიმთან შეხვედრაში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და სიტის მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა.

– სილვა ნამდვილად გამორჩეულია და ჩემთვის დიდი პატივია მასთან ერთად მუშაობა. სილვას ყოველთვის შეუძლია, რომ გადამწყვეტ მომენტში თამაში თავის თავზე აიღოს, – განაცხადა გვარდიოლამ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ექთანი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, პაციენტი საბოლოოდ დავკარგეთ.
– როგორ? რა მოხდა?
– გამოჯანმრთელდა.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:
– ძვირფასო, მზად ხარ?
– მაკიაჟს ვიკეთებ, დამელოდე.
– ძვირფასო, შენ მაკიაჟი არ გჭირდება.
– მართლა, საყვარელო?
– რა თქმა უნდა, შენ პლასტიკური ოპერაცია გჭირდება.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– რატომ მოგყავს ცოლად ასეთი ახალგაზრდა გოგონა? შენ მოკვდები, ის კი დარჩება!
– მირჩევნია დარჩეს, ვიდრე დამაკლდეს!

●●●

რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:
– თქვენ ქუდს, რომელიც გვერდით სკამზე გიდევთ, ვინმე რომ დააჯდეს, რას ეტყოდით?
– რომ ის ვირი და სულელია, და რატომ მეკითხებით?
– იმიტომ, რომ ახლახან თქვენ ჩემ ქუდზე დაჯექით.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– ხომ არ იცი, რატომ გაძვირდა მატარებლის და თვითმფრინავის ბილეთები?
– იმიტომ, რომ ახლა უკვე მათ ფასში რიტუალური მომსახურების ღირებულებაც შედის.

●●●

გოგონა სუპერმარკეტის სალაროსთან კალათიდან შეძენილ ნივთებს ალაგებს. 1 რძე, 1 მაწონი, ერთჯერადი ჭურჭლის 1 კომპლექტი, 1 კბილის პასტა, 1 კბილის ჯაგრისი.

მოლარე ახალგაზრდა მამაკაცი ეუბნება:
– როგორც ჩანს, თქვენ მარტო ცხოვრობთ.
– როგორ მიხვდით? – კეკლუცად ეკითხება გოგონა.
– საშინლად შეუხედავი ხარ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## გფბ-ს აგენტი სასიკვდილო ხაფანგებს ცოცხალი გადაურჩა



გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ორეგონის შტატში საცხოვრებელი სახლის მფლობელს მათ აგენტზე თავდასხმაში დასდო ბრალი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სახლი სავსე იყო ხაფანგებით და სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი სერიოზულად დაშავდა.

გფბ-ს ოფიცერი და გამნაღმველთა ჯგუფი ქალაქ უილიამსში სახლთან მივიდნენ რეილტორის თხოვნის საფუძველზე, რომელმაც დამნაშავის კონფისკაციას დაქვემდებარებული სახლის შემოწმება ითხოვა, სანამ მას გასაყიდად გაიტანდა. მათ შენობაში უამრავი ხაფანგი აღმოაჩინეს, დაწყებული იატაკზე დაფენილი ფარდაგის ქვეშ ჩამალული ლურსმნებით, დამთავრებული გადაყირავებული ჯაკუზით, რომელიც დაუპატიჟებელ სტუმრებს კარის გაღების შემდეგ უნდა დასცემოდა. ამ ყოველივემ გფბ-ს აგენტს ფილმი „ინდიანა ჯონსი: დაკარგული კიდობანის საძიებლად“ გაახსენა.

მათ ხაფანგები შენიშნეს და შიგნით შესასვლელი კარის აფეთქების შემდეგ შევიდნენ. შიგნით აგენტი შემთხვევით ინვალიდის ეტლს დაეჯახა, რასაც აფეთქება მოჰყვა. აგენტმა სერიოზული ჭრილობები მიიღო და სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ეს ყოველივე მოაწყო სახლის პატრონმა, 66 წლის გრეგორი როდველტმა, რომელსაც სახლი მოხუც დედაზე განხორციელებული ძალადობის გამო ჩამოერთვა. ამჟამად მამაკაცი ციხეში ზის ცეცხლსასროლი იარაღით მუქარის გამო. ის ციხეში 2017 წლის აპრილიდან იმყოფება, თუმცა აგვისტოში ის ერთი კვირით გამოუშვეს საპატიმროდან, რათა მას სახლი გაეთავისუფლებინა და, როგორც ჩანს, სასიკვდილო ხაფანგები მან სწორედ მაშინ დააყენა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 2. ლაზური ორსართულიანი სახლი; 3. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 4. შინაური ფრინველი; 5. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 6. ძვირფასი ლითონი; 9. ქართველი პრიმა-ბალერინა; 10. სამეფო რეზიდენცია რომში; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 16. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 20. ნიჟარაში ბინადარი, უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. აუქციონზე გასაყიდად გატანილი ნივთი; 24. გერმანელი ფილოსოფოსი; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. იაპონური ხის ქოში.

**თარაზულად:** 7. მეექვსე საუკუნის ეკლესია თბილისში; 8. ერთთვლიანი საცირკო ველოსიპედი; 12. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ფულის ერთეული ყაზახეთში; 17. მუზეუმი ბერლინში; 19. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 21. ღვინის თიხის სასმისი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. ფიფას პრეზიდენტი; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმების შემსწავლელი მეცნიერება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

